


იბჟვება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის
მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხენის-აფხაზეთის მიტროპოლიტის,
უწმიდესისა და უნეტარესის **ილია II-ის ლოცვა-კურთხევით**

„როცა ვფიქრობთ იმაზე, თუ რა არის ქართუ-
ლი იდეა, მივდივართ დასკვნამდე, რომ ქართველი
ერის დანიშნულებაა – იქადაგოს ჭეშმარიტი სარ-
წმუნება. ხომ არსებობს წინასწარმეტყველება,
რომ საქართველო, ქართველი ერი უკანასკნელ
უამს გაბრწყინდება. ვიცით სახარებიდან, რომ
უკანასკნელ უამს ყველგან დაეცემა რწმენა, ზნეო-
ბა, საქართველო კი ღვთის მადლითა და წყალო-
ბით გაბრწყინდება და ჯილდოდ ამისა, როგორც
დიდი მამა და მოღვაწე ამბობს, მეორედ მოსვ-
ლის უამს მთელი ქვეყნიერება განიკითხება „ქა-
რთულითა ენითა“. ეს იქნება კიდევ ერთი მადლი,
რომელსაც მოგვანიჭებს უფალი. მადლობას ვწი-
რავთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელ დედას, რომელ-
მაც ინება, რომ იყოს პატრონი საქართველოსი...“

უწმიდესი და უნეტარესი ილია II

© ყველა საავტორო უფლება დაცულია. ქურნალ „მაყვლოვანში“ გამოქვეყნებული
ტექსტებისა და ფოტომასალის გამოყენება აკრძალულია რედაქციის ნებართვის გარეშე.

ISSN 1987-5207
შაპ (UDC) 27 + 271.2
გ – 407



შინაარსი

ეპისკოპოსი გრიგოლი (კაცია)	
მოწყალე ღმერთმა მამა გაბრიელი	
გამოგზავნა ჩვენთან	6
დირსი ექვთიმე კერესელიძის უცნობი	
წერილი	9
დირსი ექვთიმე (კერესელიძე)	
ფსალმუნის მუხლთა განმარტება	11
აპაკი წერეთელი	
რამდენიმე სიტყვა ქართული გალობის	
აღდგინების გამო	15
თამაზ ჯოლოგუა	
წმინდა დიმიტრი ყიფიანის არქივიდან	17
რედაქტორი:	
მონოზონი ანა (ნიაური)	
სარედაქტო კოლეგია:	
არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)	
იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი)	
რედაქტორის თანაშემწევა:	
მონოზონი ბარბარე (იაკობაძე)	
კორექტორი: ნატალია გუნციკიძე	
კომპიუტერული მომსახურება:	
ლია არევაძე	
გიორგი ნოზაძე	
ანთონი ივერიელი და ქართული	
სტამბა	19
დირსი მამა იობ პოჩაეველი	26
არქიმანდრიტი ლაზარე	
იგავე უგუნური მდიდრის შესახებ	
(ლკ.12, 16-21)	29
ნანა ბურჭულაძე	
წმინდა ნინოს ორი გამოსახულება ქართულ	
ხატწერასა და კედლის მხატვრობაში.....	31
არქიმანდრიტი თადეოზ ვიტოვნელი	
„სულიერი ბრძოლა“	37
მიტროპოლიტი თადეოზი	
ღმერთს ავედრო შენი ერი.....	47

რედაქტორი:
მონოზონი ანა (ნიაური)
სარედაქტო კოლეგია:
არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)
იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი)
რედაქტორის თანაშემწევა:
მონოზონი ბარბარე (იაკობაძე)
კორექტორი: ნატალია გუნციკიძე
კომპიუტერული მომსახურება:
ლია არევაძე

მისამართი: მცხეთის სამთავროს
წმიდა ნინოს დედათა მონასტერი.
მირიან მეფის ქუჩა N 3
ტელ: 893 76 31 87; 893 30 07 07
ელ.ფოსტა: samtavrosmonasteri@yahoo.com
ანგარიშის ნომერი: GE65BG0000000158107700



საქართველოს გაბრწყინება დაწყებულია

„დღეს ჩვენ ვფიქრობთ იმის შესახებ, როდის მოხდება ფერისცვალება საქართველოსი, დაწყებულია თუ არა ეს ფერისცვალება. ჩვენ უნდა ვთქვათ, უნდა ვაღიაროთ, რომ კაცობრიობა მრავალი განსცდელის წინაშე დგას; ის თანდათან კარგავს ჭეშმარიტ სარწმუნოებას და საქართველო, პირიქით, ძლიერდება მართლმადიდებელ სარწმუნოებაში.

ის წინასწარმეტყველება, რომელიც იყო ნათქვამი, რომ საქართველო გაბრწყინდება უკანასკნელ ჟამს – ეს პროცესი, ეს ფერისცვალება, ეს გაბრწყინება დაწყებულია და ჩვენ ვმადლობთ უფალს ამ დიდი წყალობისათვის“.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II
19.08.14 მცხეთა-სამთავრო



უწმიდესი და უნეტარესი ილია II პვიპროსში

მწუხარება სიხარულით შეიცვლება!

ქართულ ენას ლაზარეს ენას უწოდებენ. ლაზარეს შაბათი ჩვენთან ქართული ენის დღესასწაულია. ეს დღესასწაული დიდი საიდუმლოებით არის მოცული. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ სიკეთე მუდამ იმარჯვებს, სიკეთე მეფობს ქვეყანაზე. არის ასეთი აღმოსავლური სიბრძნე: „ჰოი, სიხარულო, შენ საწყისი ხარ მწუხარებისა; ჰოი, მწუხარებაგ, შენ საწყისი ხარ სიხარულისა“. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის პრობლემები, რომლებიც ჩვენ წინაშე დგას, სიხარულით შეიცვლება ყოვლადწმინდა დვოთისმშობლის, ყოველთა წმინდანთა და წმინდა ლაზარეს ლოცვით.


ჩვენ ისეთ დროს ვცხოვრობთ, როცა კაცობრიობამ გადადგა უზარმაზარი ნაბიჯები მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გზაზე, მაგრამ, ამავე დროს, უზარმაზარი ნაბიჯები გადადგა უკან რწმენასა და ზნეობაში. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი კულტურა, ჩვენი ტრადიცია, ჩვენი კეთილი თვისებები. ძალიან ხშირად ვსაუბრობთ იმ პრობლემებზე, რომლებიც ჩვენ გვაქვს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს ხალხს ბევრი სიკეთეც გააჩნია და ეს სიკეთე გაიმარჯვებს.

სახარებაში წერია, რომ უფალი ბრძანებს: „ლაზარე, გამოდი გარეთ“. დღეს ჩვენ გვესმის უფლის სიტყვები: „ – გაჭირვებულო ხალხო, თქვენ გეშველებათ, თქვენ გამოხვალო გარეთ და თქვენი მწუხარება სიხარულით შეიცვლება...“

უწმიდესი და უნეტარესი ილია II

EPISKOPOSI GRIGOLI (KACIA)

MOWYALE RMERTMA MAMA GABRIELI GAMOGZAVNA CVENTAN



მეუფე გრიგოლი ადასრულებს დირსი მამა გაბრიელის ხენების საზეიმო წირვას სამთავროს მონასტერში.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!

ჩენონან არს ღმერთი!

დღეს მამა გაბრიელის ხენების დღეა ყველას გილოცავთ ამ დიღებულ დღესასწაულს. დღეს ჩვენ პირველად აღვნიშნეთ დირსი მამა გაბრიელის ხენების დღესასწაული და პირველად ჩავატარეთ საზეიმო ლიტურგია. საოცარია განგება ღვთისა!..

დღეს წაკითხულ სახარებაში ჩვენ მოვისმინეთ იგავი „მდიდრისა და ლაზარეს შესახებ“, სადაც აღწერილია ადამიანის ცხოვრება და ნათქვამია, რომ ადამიანმა შეიძლება მთელი ცხოვრება ისე განვლოს, როგორც ერთი დიდი ლხინი; მაგრამ ადამიანის ცხოვრების დრო მატერიალური ქმნილებაა. დრო ღვთის საჩუქარია – უფალმა შექმნა დასაწყისი და დასასრული, და როცა ადამიანი ღვთივსათნოდ არ აღესრულება, იგი შეიძლება ჯოჯოხეთში მოხვდეს.

წმინდა წერილის გადმოცემით, მდიდარი ადამიანი, რომელიც უზრუნველობას მისცემოდა, ჯოჯოხეთში აღმოჩნდა და ნახა, რომ იქ მის გარშემო არავინ იყო. მან ის გლახაკი დაინახა მხოლოდ, რომელიც ამქვეყნად მის სიახლოვეს, მისი კარბიჭის წინ ეგდო მშიერმწყურვალი და დაგრდომილი, და რომელსაც ადამიანად არც კი აგდებდა. იმქვეყნად კი ის გლახაკი სასუფეველში აღმოჩნდა.

მაგრამ ნახეთ, რა საოცარია ღვთის განგება – ადამიანს სასუფეველშიც და ჯოჯოხეთშიც თან მიჰყება ყველა თავისი ზრახვა და განწყობა. როცა ჯოჯოხეთში მოხვდერილმა მდიდარმა დაინახა, რომ გლახაკი ლაზარე აბრაამის წიაღშია და მამა აბრაამს უთხრა: – მამა აბრაამ,

თუ შეიძლება, გამოუშვი ლაზარე ჩემთანო! – და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანური ამპარტავნება იქ საიქიოშიც არის, იქაც თავს იჩენს. ის მდიდარი პატიებას კი არ სოხოვს ლაზარეს და იმას კი არ ეუბნება, მაპატიე, მმაო, ამდენი წელი ცხოვრობდი და მე ერთხელაც კი არ მიგიპატიუე, წყალი და პურიც კი არ მოგაწოდეო, მდიდარი იქ, ჯოჯოხეთშიც კი ამქვეყნიური ამპარტავნებით ეუბნება აბრაამს: „გამოუშვი ეს ადამიანიო“. მდიდარი არც კი ფიქრობს, რომ „ეს ადამიანი“ – ლაზარეც პიროვნებაა. მამა აბრაამი კი მაინც სიყვარულით უხესნის მდიდარს: შვილო, ჩვენა და ოქვენ შორის ისეთი დიდი უფსკრულია, რომ ადამიანს გადმოსვლა არ შეუძლიაო. მდიდარი მაინც არ იშლის თავისას და კვლავაც ჯიუტად ცდილობს დაარწმუნოს აბრაამი, რომ მისი ძმების გასაფრთხილებლად და რწმენაში განსამზეკიცებლად

უკეთესი იქნება, თუ მათთან მკვდრეთით აღმდგარ ლაზარეს გაუშვებს. აბრაამი კვლავაც სიყვარულით მიუგებს, რომ მიწიერ ცხოვრებაში რწმენის განსამტკიცებლად მათ აქვთ რჯული და მცნებები...

საოცარი იგავია, საოცარია განგება დვთისა!

და რატომ წავიკითხეთ მაინცდამაინც დღეს სახარების ეს მუხლი? იმიტომ, რომ მოწყალე ღმერთმა ჩვენი ღირსი მამა გაბრიელი ისევე გამოგზავნა ჩვენთან, როგორც გლახაკი ლაზარე. უფალმა მკვდრეთით აღდგომილი ადამიანი გამოუშვა ჩვენთან. ისეთი ადამიანი გამოგზავნა, რომელშიც ამპარტავნება უკვე აღარ არის, რომელშიც უკვე აღარც ეგოიზმია და აღარც პატივმოყვარება – ის ჭეშმარიტად მკვდრეთით არის აღმდგარი.

იმ დროს, როცა საბჭოური მატერიალიზმი ბატონობდა, უფალმა ქრისტეს მიერ სალოსი წარმოგზავნა ჩვენთან და ეს ადამიანი ქადაგებდა ყველგან: დუქნებში, რესტორნებში, ქადაგებდა ეკლესიებში, დემონსტრაციებზე – ყველგან ქადაგებდა, რამეთუ ყველაზე დიდი დვაწლია სალოსობა – ქრისტეს მიერ სალოსობა. რუსულ ენაში არის გამოთქმა „Юродство Христа ради“. აი, ეს უნდა ვიცოდეთ, რომ სალოსობა სხვადასხვაგვარია, მაგრამ მხოლოდ ქრისტესთვის სალოსობა არის სათხოება. ასეთი მოღვაწე კი ის ადამიანია, რომელიც თავის გულში ებრძის სატანას, დემონებს და ამ ბრძოლაში იმარჯვებს. აი, ასეთი ადამიანი არის მკვდრეთით აღდგომილი და ასეთი ადამიანი ჩვენ შორის იყო.

მე არ ვიცნობდი მამა გაბრიელს პირადად. პატრიარქის და ჩვენი მეუფების-გან მსმენია, როგორი ადამიანი იყო. სხვათაშორის, დღესაც ბევრი ახსენებს, თუ როგორ ერიდებოდნენ ტაძარში შესვლას, სადაც იყო მამა გაბრიელი, რადგან იგი ტაძარში შესულ ამპარტავან ადამიანებს ამდაბლებდა.

ყოველი დღე დვთის საჩუქარია და ყოველი ქრისტიანი ადამიანი უნდა იყოს სულიერი ვაჭარი, რათა სულიერება მოვიხვეჭოთ. როგორც ჩვენი პატრიარქი ამბობს, დამით უნდა გავაკეთოთ ანალიზი, რა მოვ-

იპოვეთ, დავიმდაბლეთ თუ არა თავი, მოთმინებით მივიღეთ თუ არა შეურაცხეოფა, შევუნდეთ თუ არა ჩვენს მაჭირვებლებს? – დიდება ღმერთს!

ჩვენთვის ცნობილია, რომ როცა მამა გაბრიელი სიონის ტაძარში იდგა, მასთან ამპარტავნებით შეპყრობილი ადამიანი მისულა, ვისაც საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა ჰქონია: „აი, უკვე ათი წელია, დავდივარ ეკლესიაში, უკვე მრევლი ვარო“, – ამ დროს კი მამა გაბრიელი მას სიყვარულით ეტყოდა: – „დაიხოქე!“ და მერე უხსნიდა მოყვასს, თუ რა არის, უპირველესს ყოვლისა, ჩვენთვის, ჩვენი მოღვაწეობისთვის მთავარი.

როგორც ვიცით, ყველაზე დიდი ბრძოლა თავმდაბლობის მოსაპოვებლად გვიწევს. და აი, რატომ: ერთხელ მამა ანტონს, დიდ მამა ანტონს, უფალმა აჩვენა ის მახეები, სატანის ის ხაფანგები, რასაც ისინი ადამიანებს უგებდნენ და, როცა მამა ანტონმა იფიქრა, მაშ ვის შეუძლია, ცხონდესო, პასუხი ასეთი იყო: – მარტო თავმდაბლსო. ისაავ ასურის სწავლებითაც ვიცით აგრეთვე, რომ თავმდაბლობა არის შესამოსელი დვთისა და, თუ ადამიანი იმოსება ამ სამოსელით, მისთვის უკვე აღარ არსებობს სიკვდილი, როგორც ამას პავლე მოციქული ამბობს: „უკვე მე კი არ ვცხოვრობ, არამედ ჩემში ცხოვრობს ქრისტე“. სწორედ ასეთი იყო მამა გაბრიელის ცხოვრება. მასში უკვე თვითონ „მე“, კი ადარ იყო, არამედ ქრისტე ცხოვრობდა...

დიდი ბრძოლა გადაიტანა მამა გაბრიელმა, დიდი ბრძოლა, რადგან სალოსობაში არის ყველაფერი, სალოსობა ყველაფერს მოიცავს, როგორც აღმსარებლობას, ასევე მოწამეობას. ჩვენ ვიცით, რომ მამა გაბრიელმა დაღვარა სისხლიც, ოფლიც, ცრემლიც, რათა თავმდაბლობის ეს შესამოსელი მოეპოვებინა, მაგრამ როცა ადამიანი იღებს მადლს, შემდეგ ამ მადლის შენარჩუნებაა ძნელი და ამისთვის დიდი ბრძოლაა საჭირო. სილოან ათონელის ცხოვრებიდან ვიცით, რომ მან მონასტერში მისვლისას მიიღო მადლი, მაგრამ ვერ შეინარჩუნა იგი, რადგან ერთმა ბერმა ასე შეაქო: „– თუ მორჩილებაში ამგვარ სათ-

ნოებას მიაღწიე, მაშ ბერობაში რაოდენ უფრო წარმატებული იქნებიო“. და მორჩილს ეს ამპარტავნული აზრი დაუუფლა. როცა იგი კელიაში მეტანიას ასრულებდა, მასა და ხატს შორის უკვე ეშმაკი იდგა. მაშინ აღმოთქვა მორჩილმა სილოანმა: „უფალო, როგორ მოვუდრიკო მუხლი ეშმაკსო?! და მოესმა პასუხი: „უფლისმიერი სიტყვებით, გონებით ჩადი ჯოჯოხეთში და არ დაკარგო დვითის სასოება“ – აი, ეს არის ყველაზე დიდი ბრძოლა.

ცნობილია, რომ მოდვაწეებთან ხილულად მიდის ეშმაკი და ეუბნება: „– შენ ჩემი ხარ, რადგან შენ ცოდვილი ხარ“. ამის პასუხი კი უნდა იყოს: – მე უვარგისი ვარ, ყველაზე უვარგისი ვარ“. – და ამ დროს ბოროტი გარბის, რადგან სადაც არის თავმდაბლობა, იქიდან ბოროტი გარბის, სადაც ითქმის: „მაპატიე“, – ბოროტი იქიდან განვარდება, სადაც არის თხოვნა: „შემინდე!“ – ეშმაკი განილტვის. ამდენად, ყველაზე დიდი ბრძოლა იქ არის, სადაც სულიერი ტაძარი შენდება, იქ, სადაც არის თავმდაბლობა. ამიტომ ვთხოვთ, ვევდროთ მამა გაბრიელს, რათა მოგვანიჭოს გული გონიერი, გაგვინათოს გონება, მოგვანიჭოს თავმდაბლობა, სიყვარული, სიწმიდე, მოთმინება, ერთსულოვნება.

ჩვენთვის ცნობილია, რომ მამა გაბრიელი ბეთანიელი მამების სულიერი შვილი იყო და ამბობდა: „ეს წმიდანების ჯაჭვი საქართველოში ბოლომდე გაგრძელდება, მეორედ მოსვლამდეო“. ჩვენ ვიცით, თუ ვინ არის ის რგოლი, მამა გაბრიელის შემდეგ ამ წმიდანების ჯაჭვში. როცა ჩვენი უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე სტუდენტისას პირველად ჩამოვიდა მოსკოვიდან და სვეტიცხოველში შევიდა, იქ მას ბეთანიელი მამები შეხვდნენ. როცა მათ დაინახეს მშვენიერი გარეგნობის ახალგაზრდა კაცი სასულიერო შესამოსელში, ტირილი დაიწყეს: ნუთუ ახალგაზრდები

კიდევ მიდიან მონასტერში და სემინარიაშიო – ასე მიიღო ჩვენმა უწმიდესმა ბეთანიელი მამებისაგან ლოცვა-ჯურთხევა.

აი, წმინდანთა ეს საოცარი ჯაჭვი უნდა გაგრძელდეს საქართველოში. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი პატრიარქი არის ყველაზე თავმდაბალი და მორჩილი. „მე ყველაზე კოჭლი ცხვარი ვარ უფლის ფარაში და, თუ წინ აღმოვჩნდი, მხოლოდ იმიტომ, რომ უფალმა ინება ასეო“. მე მოდვაწეობა სადმე სოფელში, მთაში მინდოდაო, მაგრამ უფალმა ინება, რომ ჩვენი პატრიარქი ამ წმიდანების ჯაჭვის რგოლი გამხდარიყო.

დასასრულ, უნდა ვთქვა, რომ ჩემმა თაობამ, ჩვენი მამა-პაპის და, ზოგადად, წინაპართა თაობამ, შესაძლოა ნებსით ან უნებლიერ შეურაცხყოფა მიაყენა ქრისტეს მიერ საყვარელ ბეთანიელ წმიდა მამებს ან მამა გაბრიელს. მე მინდა, რომ მათ ვთხოვთ პატიება; ძალიან გვჭირდება ახლა მამა გაბრიელი, ძალიან გვჭირდება ისეთი ადამიანი, რომელიც სიყვარულით გვეტყვის: „დაიჩოქე!“


ჩვენი პატრიარქი აღსავსეა სიყვარულით და მოთმინებით და კი არ გვსჯის, არამედ უბრალოდ ამბობს: დავიდალე, დავიდალე, მოდი ჩემთან, უფალო. ჩვენ გვაკურთხებს, რომ შენდობა ვთხოვთ მამა გაბრიელს. ამიტომ, ვისაც გვსურს, დავიჩოქოთ და პატიება ვთხოვთ მამა გაბრიელს. შევასრულოთ ეს კურთხევა და შევუნდოთ ყველა ჩვენს წინაპარს, ჩვენს მშობლებს, რომლებმაც შესაძლოა, შეურაცხყოფა მიაყენეს ჩვენს წმიდანებს და უფალს შენდობა ვთხოვთ მათვეის. ამინ.

ღმერთმა მამა გაბრიელის ლოცვით, ცრემლით, სისხლით, მადლით გადაარჩინოს, გაამთლიანოს, დაამშვიდოს და გაახაროს სრულიად საქართველო, მოგვანიჭოს გული გონიერი, თავმდაბლობა და უფალმა შეგვიწყალოს ჩვენ. ამინ.

მცხეთა-სამთავრო
02.11.2014

RIRSI EQVTIMES (KERESELIZE) UCNOBI WERILI

სამთავროს ფერსიცვალების წმიდა ნინოს დედათა მონასტრის საარქივო ფონდს ბატონმა ვიქტორ კერვალიშვილმა გადასცა ლირსი მამის ექვთიმე პერესელიძის ხელნაწერი წერილის ასლი. ბატონმა ვიქტორმა, რომელიც წმიდა ექვთიმეს შვილთაშვილია, დიდი წინაპრის შესახებ რამდენიმე უცნობი ბიოგრაფიული შტრიხიც გაგვაცნო.



წმიდა ექვთიმეს ხელნაწერი წერილი მმიშვილის, სიდონიასადმი

მკითხველს შევახსენებთ, რომ 2010-2012 წლებში უკრნალმა „მაყვლოვანმა“ პირველად გამოაქვეყნა მონასტერში დაცული წმიდა ექვთიმე პერესელიძის რამდენიმე ხელნაწერი: „წერილი სულიერი შვილებისადმი“, გამოკრებილი სწავლანი“ კრებული „გზა ცხოვრებისა“, „ცალკეული თავები, ქადაგები: „წუთისოფელი“ და „სენაკის

ღირსება-მოგალეობა...“.

ბატონ ვიქტორის გადმოცემით, ესტატეს (ლირსი ექვთიმეს საერო სახელი) და მის ძმას მიხეილს ყმაწვილობაშვილე განუზრახავთ და ერთმანეთისთვის აღთქმა მიუციათ, რომ ესტატე ბერად აღიკვეცებოდა, ხოლო მიხეილი ოჯახს შექმნიდა. ძმებმა ღირსებად აღასრულეს სიყმაწვილეში აღთქმული: ესტატე ბერად აღიკვეცა და ეწოდა მას ექვთიმე, ხოლო მისმა ძმამ, მიხეილმა მრავალშვილიანი, კეთილმორწმუნე ოჯახი შექმნა. მღვდელმონოზონი ექვთიმე ყოველმხრივ შეეწეოდა ძმას, რომელსაც შვიდი შვილი ჰყავდა. მამა ექვთიმეს შვიდივე ძმიშვილისთვის თავადვე შეურჩევია ბიბლიური სახელები და მათს სულიერ ცხოვრებასაც წარმართავდა. სწორედ ერთ-ერთი მათგანი იყო სიდონია, იგივე დონია, როგორც მას შინ უხმობდნენ და რომლის მიმართაც არის გაგზავნილი წინამდებარე წერილი.

სიდონია გამორჩეული დიასახლისი ყოფილა, მაგრამ ერთხელ მოულოდნელად მამა ექვთიმეს მისთვის შენიშვნა მიუცია: „—შენს სახლში ყველაფერი ჭუჭყიანიაო!“



ზედაზნის მონასტერი
იოანე ნათლისმცემლის ტაძარი, VIII ს.
ლირსი ექვთიმე პერესელიძის საფლავი

— და დამწუხებული მმიშვილისთვის იქნება განუმარტავს: „ბავშვები მოსანათლი გყავსნი!“ 37 წელი იყო, უმძიმესი ჟამი და ამიტომ დირსმა მამა ექვთიმებ მმიშვილები დამით ჩუმად წაიყვანა მოსანათლად და ნათლიებადაც ბავშვები შეურჩია.

* * *

დირსი მამა ექვთიმებ სიდონიასადმი მიწერილ ბარათში დიდი სიყვარულით იხსენიებიან ოჯახის წევრები: მიხეილი და მისი მეუღლე ოებრონია, მმიშილი სიდონია და მისი მეუღლე ვიქტორი. წერილში ნახსენებია აგრეთვე სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში იმხანად მოღვაწე მონოზონი პარასკევა (უგრეხელიძე). სავარაუდოდ, წერილში საუბარია საგალობრივი კრებულების გადაცემაზე, რომელსაც მამა ექვთიმე „პასილკის“ და „ტვირთის“ სახელით იხსენიებს და საგულდაბულოდ ანდობს ოჯახის წევრებსა და სულიერ შვილს, დედა პარასკევას. წერილში ნათქვამია, რომ გადასაცემი ტვირთის წალებას „დიდი შრომა და ხარჯი უნდა“ და რომ ბარგის მიღების „დასტურს“ დაელოდება. ცხადია, რომ მღვდელ-მონოზონი ექვთიმე სურსათ-სა თუ სხვა სახის გზავნილზე ოჯახის წევრებს „მიღება-ჩაბარების“ დასტურს არ მოსთხოვდა.

წერილი დაწერილია 1944 წლის 20 აპრილს და, როგორც მასში აღნიშნულია, მამა ექვთიმე ამ პერიოდისათვის უპვე ძალიან ავად იყო. როგორც ცხობილია, სხეულებისაგან დასუსტებულს იმ ზამთარს სამთავროს დედათა მონასტრის დედები უვლიდნენ და წმიდა მამამ დვთივ განისვენა 1944 წლის ზამთარში.



მონოზონი პარასკევა
(უგრეხელიძე) –
დირსი მამა ექვთიმეს
სულიერი შვილი

წერილი სიდონიასადმი

შვილო დონია! ვიცი ჩემს ამბავს იკითხავ. მე კარგად ვიმგზავრე, კარგად მივედი ჩემ ბინაზე, გზაში არაფერი არ დამკარგვია, დვთის წყალობით, კარგი მომხმარებელი კაცი აღმომიჩნდა მცხეთაში და იმან აღმომატანია ჩემი ტვირთი. ამისთვის დიდი მაღლობელი ვარ ჯერ თქვენი, შენი და ვიქტორასი, ჩემი დახმარებისათვის, ჩემ ხელის გამართვისათვის და მერე სხვა ჩემი პატივისმცემელთა, რადგან მე ისე დასუსტებული ვარ, რომ მგონია, მე ვეღარ ჩამოვალ ვერც ჩემ სამკურნალოდ და ვერც თქვენ სანახავად, ამიტომ, გულსმოდგინედ გთხოვ, შვილო დონია, რომ ეს ჩემი გასაგზავნი პასილკა წაიღო და შენის ხელით ჩააბარო თებრონიას თავისი კუთვნილი და მიხეილს, მამაშენს თავისი კუთვნილი ჩააბარო ჩემი სახელით.

და მე იმათ წერილსაც მივწერყვა, რომ დონიას ვატან თქვენს გადმოსაცემ რამებს-მეთქი.

მე რადგან ძალიან სუსტად ვარ და სიარული არ შემიძლია, იქნება ვეღარც თქვენ და ვეღარც იგინი ვნახო, ამიტომ დიდის თხოვნით გთხოვ, შრომა გასწიოთ, ჩემი გასაგზავნი წაუღო და ჩააბარო იმათ და მინდა, რომ იმათგანაც მიღების წერილი მომივიდეს, რომ ჩემი გული დამიჯერდეს. მართალია მაგის წალებას დიდი შრომა უნდა და დიდი ხარჯიც, ყველას მე აგინაზდაურებ, თუ ვიცოცხლებ, ჩემო საყვარელო შვილებო, დონია და ვიქტორ და კარლო. იმ ჩემს გასატანს მოლოზონი პარასკევა ჩამოგიტანს მცხეთასთან მოკლე დროში.

თქვენი სიკეთის მსურველი ბიძა ესტატე კერ.

20/IV/44 წ.


წერილი უცვლელად იბეჭდება (რედაქტორი)

მოამზადა
მონოზონმა ანამ (ნიაური)

RIRSI EQVTIME (KERESELIZE)

FSALMUNIS MUXLTA GANMARTEBA

(უსათაურო ქადაგება ამოღებულია ხელნაწერი
კრებულიდან „გზა ცხოვრებისა“. სათაური შეარჩია რედაქციამ)



მმანო, მართლამდიდებელნო ქრისტიანულო! კარგად მოგეხსენებათ, რომ ოჯახში სცხოვრობენ, როგორც დიდები, ისთე პატარებიც; სცხოვრობენ უკელა ერთ-სულობით და ერთ-გულობით, რომელთაგან უმცროსები ყურს უგდებენ და გულის სიმდაბლით ისმენენ მათზე ბრძანებულს მშობლების სიტყვას; ეგრეთვე ოჯახის უფროსნი მართავენ ოჯახს ერთგულად თავიანთი გონებამახვილობით. მხოლოდ ზოგჯერ მოხდება ისიც, რომ ოჯახის უმფროსები სიამოვნებით ყურს დაუგდებენ თავის სულ უმცროსი შვილი-შვილისაგან ახლადნახულს ამბავს, მიუხედავად მისი სიპატარავისა, ტკბილად უსმენენ მას და მით სიბრძნეზე სიბრძნეს შეიძენენ.

ბოდიშს ვითხოვ თქვენ ყოველთაგან,

მეც ესრეთ წარმომიდგენია ჩემი თავი თქვენ წინაშე, ვითარცა თქვენში ყველაზე უუმცირესი პირის, და იმედი მაქვს თქვენ კეთილგონიერებისაგან არ მიხედავთ ჩემს უკანასკნელობას, არ მითაკილებთ მე უსწავლელს და რაიცა მიხილავს და მსმენია, ვითარცა ჩვილი ბოვშვისაგან, ეგრეთ გულსმოდგინეთ ყურს დამიგდებთ, და ამით კეთილზე კეთილს შეიძინეთ და გამოცდილებაზე გამოცდილებას.

მხოლოდ მარტო მე რომ ვიცოდე და არა ვსთქვა და ამით სხვასაც არ ვასარგებლო, ეს დანაშაულობად მიმაჩნია, ამისთვის მამხნევებს მე სიტყვა თქმული წიგნთაგან: „ეც მიზეზ ბრძენთა და უბრძენეს იყვნენო“, ამიტომ მეც კადნიერებით მოგახსენებთ:

ყოველი კეთილ-გონიერი ოჯახის უფროსი დილ-დილობით აღრე აღგება ხოლმე, შემდგომად ხელ-პირის დაბანისა, წალმა წარსდგება და პირჯვარს დაიწერს, ღმერთს დიდებასა და მადლობას შესწირავს დღის ხილვისათვის და მერე კეთილად ცხოვრების გაგრძელებისათვის – ამის შემდეგ მოუწოდებს თავის თანა-შემწეს და თანამეულებეს; ეს უფროსნი დედ-მამა, შეჰერებს თავის შვილებს და შვილი-შვილებს და მთელს ჯალაბს; ყოველ თვითუელ მათგანს გამოუწყობენ თავის შესაფერ საქმეს, თუ რომელმა ადამიანმა იმ დღის განმავლობაში რა უნდა გააკეთოს და რა უნდა იმოქმედოს, რომ ტყუილად დრო არ დაკარგონ და არ მოსცდენ, რომ ყველა თავის გზაზე იდგეს, თავის საქმეზე იდგეს და კეთილზრუნვაში იყვნენ; ოჯახის გაძლიერებისათვის და კეთილ ცხოვრების შეძენისათვის – ეს წესი აქვს

ყოველ კეთილგონიერ ოჯახის მეუმფრო-სეთა.

ახლა ავიღოთ ჩვენ მეორე მხარე ყოველთა საერთო ცხოვრებისა.

დღეს, ძმანო ქრისტიანები, პირველი დღე და პირველი დილა არის ახალი წლისა, რომელიც დაგვიღგა 1924 წელი. დღეს დვთის მამობრივმა განგებამ და სულიერად მშობელმა ჩვენგან დედაეკლესიამ მოგვიწოდა და შეგვრიბა ჩვენ ერთად, მისნი შვილი და შვილი-შვილი, ამ წმიდა ტაძარში, ამით ვიცოდეთ, რომ ჩვენ ვართ შვილი დვთისანი და წმიდისა ამის ეკლესის წმიდა ემბაზისაგან მეორედ სულით შობილი და შეერთებული უფალი იქსო-ქრისტესთან, ერთხორცობით, ერთგულობით, ერთსულობით და ერთ ჯალაბობით და ვართ დვთისა და უფლისა ჩვენის იქსო-ქრისტეს მართლმადიდებელ სამართლის წევრნი.

როგორც ხორციელი მამა თავის ჯალაბს, შვილებს და შვილი-შვილებს ყოველ დღე დილას გამოუწყობს საქმეს, თუ რომელმა ადამიანმა, დიდმა თუ პატარამ რა საქმეს უნდა დაადგეს და რა უნდა გააკეთონ: – ამგვარად, ახლაც, როგორც პირველ დღეს ამ დამდეგი წლისა, დვთის განგებით და ამ წმიდა ეკაკლესის მოწოდებით, შეკრებულ ვართ ერთად, როგორც დვთის შვილი და საღმრთო ჯალაბი; ვიკითხოთ ახლა ჩვენ და გამოვიძიოთ ჩვენი ძველი და ახალი მოქმედება, თუ ვინ რა ვიმოქმედეთ დღემდე და ვინ რა ვიმოქმედოთ დღეის იქით და ვინ რა გზას უნდა დავადგეთ ამ ახალ მომავალ დროის განმავლობაში.

ახლა, ძმანო, კაცის ცხოვრებაში არის ორნაირი გზა, რასაკვირველია, ერთი – კეთილი და მეორე – ბოროტი: ხშირად ესეცა ხდება ხალხთა შორის: კაცი ადგია ბოროტ გზაზე (ესე იგი ბოროტჩვეულებაზე) და თვითონ ვერ მიმხვდარა, მოსწონს თავისი ბოროტი გზა და კეთილად მიაჩნია, ამიტომ საჭიროა გავიგოთ თუ რანაირია კეთილი გზა და რანაირია ბოროტი გზა! – როგორც რომ ერთსა და იმავე დროს ორ გზაზე სიარული კაცს არ შეუძლია, ეგრეთვე შენ სიცოცხლეში ერთ-

სა და იგივეს კეთილსაც და ბოროტსაც ადგე, ეს არ შეიძლება; ეს კი შეიძლება, როგორც რომ გლახა გზიდგან კაცი კაი გზაზე გადავიდეს. ეგრეთ გლახა, ბოროტი ცხოვრების გზა დასტოვოს კაცმა და კეთილი ცხოვრების გზას დაადგეს.

ამისთვის დასწერა წმიდა დიდმა წინასწარმეტყველმა დავით არა თავის მხრიდგან, არამედ თვით სული-წმიდის მიერ ბრძანებით; დასწერა საწინასწარმეტყველოდ, იგავად და ასახსნელად ყოველი თვით-ეული შემდეგი მუხლები და სთქვა:

1) „ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვისა უდმრთოთასა“-ო.

აქ გამოვიძიოთ, რო სთქვა: „ნეტარ არს კაციო“ მარტო კაცზეა ნათქვამი თუ ქალზედაც?!

აქ იგულისხმება, როგორც კაცზე, ისე ქალზე, რადგან კეთილ-ზნეობრივად მცხოვრებ კაცს თუ ქალს, ორივეს „კაცი“ ეწოდება, ხოლო უპატიოსნოდ მცხოვრებს, დახსნილს და ზნეწამხდარს ბუნებით კაცს თუ ქალს, კაცი არ ეწოდება: როგორც მაგალითად, ყოველ წამხდარს გლახა ეწოდება, ეგრეთ ყოველს უსჯულოდ მცხოვრებს უდმრთო ეწოდება და არაკაც დვთისა, არამედ მონა ცოდვისა – ხოლო როგორც სხვადასხვა პირმა, კაცმა თუ ქალმა, ერთ გვარი საქმე, ერთ ნაირის სულით და გულს-მოდგინებით გააკეთოს, იმათ ღირსებაც ერთნაირი აქვსო და სასყიდელიც ერთნაირი მიეცემათ, გინა სული-ერი, გინა ხორციელი – ამიტომ არ ნატრის არც ანგელოზებს და არც ჩვილ ბავშვებს, რადგან იგინი ბუნებით ცოდვაზე არ მიკლენ, არამედ ჰქატრის და იტყვის: ნეტარება იმ კაცსო, რომელიც არ მივიდა და არ შეეზიარა და არ შეუერთდა უდმრთო კაცთა უდმრთო ლაპარაკშიო.

2) „და გზასა ცოდვილასა არა დადგა“.

ცოდვილებად უწოდებს პირველად ეშმაკსა, რომლის გზა და მეცადინეობა არის ყოველი გვარი უსჯულოება და მით კაცის წარწყმედა – ხოლო მეორედ, მის მიმყოლო უსჯულოთა კაცთა, რომელ ცოდვილთა კაცთა გზა, მათი ბოროტი ჩვეულება არის ამ გვარი: ამპარტავნება, დვთის გმობა, სხვათა და სხვათ ზედა ძვირის ხსნება;

გინება, გარევნილება, განკიცხვა, დაცინვა, წყევლა, შური, ცილის-წამება, დალატობა, უშვერი სიტყვა, ტყუილი ლაპარაკი, ამაო ლაპარაკი, ჭორიკანობა, კაცის დასმენა, მზვაობრობა (ტრაბახი), გასაცინარ სიტყვათა თქმა, ფარისევლობა, სიზარმაცე, უკადრისობა, მუქთა-მჭამლობა, თავის-თავის ამაღლება და სხვისი დამცირება, თავითავის ბრძნად და სწავლულად გამოჩენა და სხვისი გიჯად, უჭკურდ და სულელად წოდება და სხვა...

– ნეტარება იმ ჭეშმარიტ, ბრძენ კაცს, რომელიც ამგვარ ჯგუფს, ამგვარ წრეს და ამგვარ პირთ არ მიეახლა, არ მიუდგა, და არ შეეზიარა და არ დაადგა მათ ამგვარ ბოროტ ცხოვრების გზასო.

3) „დასაჯდომელსა უსჯულოთასა არა დაჯდა“.

უსჯულოთა კაცთა დასაჯდომელად უწოდებს მათ ბოროტ სიტყვა-მოძღვრებას და ნატრის იმ კეთილ გონიერ კაცს, რომელმაც არ ისმინა მათი უსჯულო სწავლა და არცოუ ყური მოუპყრა მათ.

4) „არამედ სჯულსა უფლისა არს ნება მისი“.

– კეთილ-გონიერმა კაცმა არ ირჩია, ვითარცა ზემო ითქვა, ბოროტი ცხოვრების გზა, არამედ ირჩია სჯული უფლისა, რომელიც არის წმიდა სახარების მცნება თავისი საკუთარის ნებით, სურვილით და კეთილ-გონიერებით.

5) „და სჯულსა უფლისასა ზრახავნ იგი დღე და დამე“:

– წმიდა სახარებისდაგვარად, ყოველი მისი სწავლა, წვრთნა და მეცადინეობა მხოლოდ საღმრთო საგანზეა შეუფერხებელად, ყოველ დღე და დამე, ესე იგი, ყოველ ჭირსა და შვების დღეებშიდაც: ღმერთს სასოებს, ლოცულობს, შეპხარის, აქებს, ადიდებს და ჰმადლობს. და მარადის სიტქოებით ეზრახება მის წმიდათა წერილებს და მსგავსადვე მოქმედობს.

6) „და იყოს იგი ვითარცა ხე დანერგული თანა წარსადინელსა წყალთასა“.

– იგი, დვთის მოსავი კაცი, ემსგავსება იმ ხეს, რომელიც მდინარე წყლის პირად დანერგულია, რომელსაც მდინარე უხვად რწყავს, აცხოველებს და ახარებს და ამი-

ტომ არ ეშინია ამგვარ ხეს არავითარი გვალვისა: – ამ სახედ, კაცთა ცხოველს-მყოფელს მდინარე წყლად წმიდა სახარება და მასთან ყოველნი საღმრთო წერილი ითვლება, რომლის დღე და დამე წვრთნით გული მისი ირწყვება ცხოველს-მყოფელი მადლითა დვთისა სიტყვათათა. და ვითარცა ზემო თქმული მდინარე წყლის-პირად დანერგული ხე, უფროს ყოველთა უდიდებულებს დროს ხარობს, – ეგრეთვე დვთის ცხოველს-მყოფელ სიტყვათა მწვრთნელი, უფროს ყოველთა კაცთა გახარებულია, სულითა და გულითა... თვით უკანასკნელ სიღატაკეშიდაც კი.

7) „რომელმან გამოსცის ნაყოფი მისი უამსა მისსა“.

– ვითარცა ხე იგი წყლის პირად მდგომი, უტყუვრად გამოსცემს ნაყოფსა უამსა თვისსა უხვად: საადრიოს ადრე და საგვიანოს გვიან – ეგრეთვე ცხოველმყოფელი მდინარე საღმრთო წერილით მწვრთნელი კაცი უაჭელად გამოიღებს თვისს კეთილთა საქმეთა ნაყოფთა უხვად უამსა თვისსა, ესე იგი საადრიოს და საგვიანოს, რომელ არსესამქვეყნიო და საიმქვეყნიო ნაყოფი.

8) „და ფურცელნი მისნი არა დასცვივენ“.

– ფურცლად უწოდებს მრავალთა ჭირთა და განსაცდელთა მის ზედა მოწევნულთა, რომლის დაომენისათვის სასყიდელი მისი ერთიც არ დავარდების და არ დაეგარენის, არამედ დვთისა მიერ უხვად მიიღონ.

9) „და ყოველივე რაცა ჰყოს, წარემართოს მას“.

– ესე ვითარი კაცი ყოველსავე თავის საქმეს რასაცა ჰყოფს, დვთისა მიერ კურთხევით ჰყოფს, და ყოველივე დვთისა მიერ კურთხეული, კეთილად წარემართება მას.

10) „არა ესრე უდმრთონი, არა ესრე, არამედ, ვითარცა მტვერი, რომელ აღგავის ქარმან პირისაგან ქვეყანისა“.

– უდმრთო კაცთა ცხოვრება არ არის ისე იმ გვარი, ვითარცა ზემო ითქვა, დვთის-მოსავი კეთილი კაცისა, არამედ ვითარცა მტვერი, რომელსაც აღგვის ქარი პირისაგან ქვეყანისა, ეგრეთ აღიგვის ცოდვილნი

პირისაგან ქვეყანისა, რისხვისაგან დათისა.

11) „ამისთვის არა აღსდგენ უდმრთონი სასჯელისა“.

— ეამსა მას ქრისტეს მეორედ მოსვლისასა: უდმრთონი არ აღსდგებიან განსჯად მართალთა, არამედ აღსდგებიან დასჯად თავთა თვისთა.

12) „არცა ცოდვილნი ზრახვასა მართალთასა“.

— ვითარცა იგი უდმრთონი არა დირ არიან განსჯად მართალთა, ეგრეთვე ვერც ედირსებიან უდმრთონი და ცოდვილნი, ზრახვასა მართალთათანა.

13) „რამეთუ უწყის უფალმან გზა მართალთა“.

— უწყის უფალმან უტყუარი ჭეშმარიტი გზა ცხოვრებისა, რომელ არს წმიდა სახარება ქრისტესი, რომელიც თვით განვლო, რომელმაც თვით დასდვა ყოველთა სავალად, რომლისაგან აღსდგა და ამაღლდა ზეცად, რომელმაც აღთქმა დაუდვა ყოველთა მისთა მცნებათა და მცნებათა დამცველთა: „სადაცა მე ვიყო, მუნცა მოყვარენი ჩემნი“. (სახ. ოთანესი 14:3).

14) „და გზა უდმრთოთა წარსწყმდეს“.

— ხოლო უდმრთო კაცნი, თავის უდმრთო, უსჯულო გზით წარწყმდენო! – სიტყვისაებრ უფლისა: „წარვედ ჩემგან წყეულო, ცეცხლსა მას დაუშრებელსა“ (სახ. მათესი 25:41).

წმიდა დავით წინასწარმეტყველმა ამითი დაასრულა კაცთათვის ჭეშმარიტი გზის ჩვენება, ამიტომაც დასწერა ესე, (სული-წმიდის მიერ თქმული) თავის საწინასწარმეტყველო წიგნის თავში პირველ ფსალმუნად, რადგან ყოველმა კეთილის მაძიებელმა მკითხველმა, პირველივე გაიგოს, რომ საღმრთო წერილის კითხვით, სმენითა და მიყოლით თავისთავს დაპნერგავს უკვდავების წყაროს პირად, რომელსაც ვერას დააკლებს სოფლიური მრავალგვარი მწუხარების ქარიშხალი და ვერც სიცხე და გვალვა უპოვარებისა და სიღატაკისა. არამედ პგიებს გულის შინაგან სული მისი, ვითარცა ფეროანი ყვავილი დაუჭრნობელი, გულსავსე, ტკბილი თაფლოვანი, მარად მხიარულებით.

ამისთვის სხვა ადგილას ამბობს იგივე

წმ. დავითი: „სიტყვანი შენნი უფალო, უტკბილეს არს უფროდ თაფლისა და გოლეულისაო“ კვალად განაგრძობს:

„ნეტარ არიან უბიწონი გზასა, რომელნი ვლენან სჯულსა უფლისასა“.

„ნეტარ არიან, რომელნი გამოიკვლევენ წამებათა მისთა, ყოვლითა გულითა გამოიძებენ“.

„ბაგითა ჩემითა მიუთხრა ყოველი სიმართლენი პირისა შენისანი“.

„გზასა წამებათა შენთასა განვსცხერებოდე, ვითარცა ყოვლითა სიმდიდრითა“.

„მცნებათა შენთა გულსა ვეტყოდე, და განვიცადნე მე გზანი შენნი“.

„სიმართლეთა შენთა ვიწურთიდე და არა დავივიწყო მე სიტყვანი შენნი“. – წმიდა იოანე სინელი სწერს:

„საღმრთო წიგნის კითხვა, არა მცირედ შეჰკრებს კეთილთა ნაყოფთა და განანათლებს გონებასა, რამეთუ სიტყვანი არიან სულისა წმიდისანი, და მკითხველთა მისთა განამტკიცე შენ“ – კვალად ამბობს:


„სათხოებათათვის და ვნებათათვის თქმულთა წიგნთა იკითხევდი და ყოველი, რავდენი კეთილცხოვრებისა შენსა ასწავლის, რათა კეთილად შემოკრებეს გონებასა შენსა“. – დიდი მოციქული პავლე სწერს თავის ეპისტოლეში:

„შვილთა თქვენთა ზრდიდეთ წვრთნითა სულიერითა, რამეთუ წვრთნა ხორციელი ჟამ ერთ წამს სახმარ არს, ხოლო წვრთნა სულიერი ორთავე ცხოვრებისა უამსა შინა სარგებელ გეყოს“ – ეგრეთვე დიდი მეფე სოლომონ ბრძენი სწერს:

„დასაბამი სიბრძნისა, შიში უფლისაო“.

– მაშასადამე, უსაზღვრო სივრცე სიბრძნისა თვით დვთისა თანა არს, და რომელი სცხოვრობდეს მოშიშებითა დვთისათა და მცნებათა წმიდა სახარებისათა, იგი უტყუარ სიბრძნის კვალში ჩამდგარა და ნამდვილ ცხოვრების გზას დასდგომია და სიცრუე და ეჭვი არ არის მის თანა. ამისთვის ჯერ არს და ფრიად სანუკვარი და სამოსწრაფო, რათა რომ ვისმინოთ პირველათ, ყოველითა გულს სმოდგინებითა ჩვენითა დვთიური სიტყვანი საღმრთო წერილისა და ბრძენთა კაცთა ცხოვრებასა შინა გამოცდილებითი წერილი.

RAMDENIME SITYVA QARTULI GALOBIS ARDGINEBIS GAMO



მე მგონია, ცხადი იყოს ყველასათვის, რომ საქართველოს ერთობის დროს ენაც ერთი გვქონია, ღრმად შემუშავებული და წესიერადაც დაკანონებული; ამას გვიმტკიცებენ: „ვეფხის-ტყაოსანი“, „ვისრამიანი“, „დარეჯანიანი“, „რუსუდანიანი“ და სხვ. აგრეთვე, აღარც ის არის საეჭვო, რომ სამეცნის გაყოფისა და დაცალცალკებების შემდეგ, ენასაც ხრწნილება შეკპარვია, ადგილობრივი კილო მიუღია და ისე შელახულა, რომ დღეს ის კანონიერი ენა აღარსად ისმის, – მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს ენის სრულიად დაკარგვას, – ავიდოთ მაგალითად ძვირფასი რამ მანიაკი: ის რომ იმისთანა უფსკრულში ჩავარდეს, საიდანაც ამოღება შეუძლებელია, მაშინ ეთქმის დაკარგულობა და თუ მხოლოდ ის ძაფი გაუწყდა, რომელზედაც აუსხავსთ მისი მარცვლები, გაიფანტა მარგალიტები და გაიძნა აქტო-იქით, სხვადასხვა კუთხეებისაკენ, ეს არ იქნება დაკარგვა, საჭირო იქნება მხოლოდ იმ გაბნეული

მარგალიტების მოძებნა, პოვნა, აკრეფა, მოგროვება და ხელახალ ძაფზედ ასხმა, და ხელში დაგვრჩება ისევ ძველი სამკაული, გაწმენდილი და გაახლებული; მაგრამ მარტო ერთ რომელიმე კუთხეში რომ აკ-კრიფოს ვინმეგ მხოლოდ იქ მოგროვებული მარცვლები და სხვაგან აღარ ეძიოს, თანვე, იმ მარგალიტებს ააყოლოს ლობიოს მარცვლებიც, აასხას მანიაკად და იძახოს: ეს არის ნამდვილი ის ჩვენი ძველი მანიაკიო, – ეს იქნება პირდაპირი ან უგუნურება და ან სიზარმაცის ნიშანი.

სწორედ ამგვარ მდგომარეობაშია დღეს ქართული ენა და ზოგიერთს მისი ცოდნის მჩემებლებს – ზოგს ქალაქური, კინტოური, სხვადასხვა ენებისაგან შემდგარი ენა ჰგონია ნამდვილი ქართული, ზოგს – სიტყვებდაკარგული ამერული და ზოგს – სხარტულობით გაცეტებული იმერული; მაგრამ ყველანი კი სტყუიან და სანამ ყოველ კუთხეს არ მოივლიან, ყველგან არ გამოსძებნიან სიტყვებს და არ შეასწორებენ ძველთან, ცუდად მოყვრობენ სამშობლო ენას.

რაც ენის შესახებ ვსოდვით, ისივე ითქმის ქართულ გალობაზედაც. თავდაპირველად ბერძნულიდან შემოგვიღია გალობა, მაგრამ ისე კი გაგვიქართულებია, ესე იგი მიგვიცია ისეთი ადგილობრივი კილო და ხასიათი, რომ დედანს აღარ გვაგონებს და ჩვენს ეკლესიას პატივსაცემად და საგონებლად იმ პირველ მოძღვრისა, ქართულ გალობაში „ისპოლა“ დაუტოვებია და დღესაც ბერძნულის სიტყვებით ჰგალობს. ენისა არ იყოს, გალობაც აღრევ ერთი-და-იგივე ყოფილა საზოგადოდ საქართველოში და დღეს კი ისიც დამახინჯებულია. ამ ნაკლულევანებას ყოველთვის გვრძნობით, გვინდოდა როგორმე ნოტებით აღგვედგინა, მაგრამ დღემდის მცოდნე პირები გვარწმუნებდენ, რომ შეუძლებელიაო და დღეს კი, როდესაც ბ. ქორიძემ მაგალითი გვიჩვენა, ყოველი კუთხიდან გამოჰყეს თავი და შინაური თუ გარეული იმას იძა-

ხის: არა, მე უკეთ შევადგენ და არა მეო! – კეთილი და პატიოსანი!.. ძალიან კარგი, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ იმათ პირადი რამ ანგარიში და კუდაბზიკობა ამოქმედებსთ და სხვადასხვა ჩვეულებრივ ხრიკებს იქამდი მიუწევია, რომ ლამის საქმე არივდარიონ რაღაც წვრილმანური პატრიოტობის გამოჩენით. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაკვირვებს კომიტეტის მოქმედება: ის ისეთ რამებს აჟყოლია, რომ თუ ერისკაცოაგანაც საზოგადო თანაგრძნობისა და დახმარების სურვილი აქვს ამ საქმეში, ასე არ უნდა იქცეოდეს! ერთი ამბობს: „მე ჯერ შევისწავლი ნოტებს, მერე დავივლი იმერეთს, შევასრულებ გალობას და მერე დაგიწერთო“. მეორე არწმუნებს, რომ მე არც ენა ვიცი და არც ხასიათი, მაგრამ ნოტებზედ კი, რაც გინდათ, თვალის დახამსამებამდი გადაგიდებთო. და სხვადასხვა კომიტეტიც უერს უგდებს და არ იცის, რა ქნას!.. საქმეს ტყუილ-უბრალოდ აჭიანურებენ და საგულისხმო ვერა გამოურჩევიათ. ბოლოს კი, თითქოს აუქციონით ჰყიდვენ რამეს, გადაუწყვეტიათ, ვინც უფრო იაფად გადაიდებს, იმას მიგსცეოთ და, რასაკვირველია, რომ ესეც უბრალოდ და უსარგებლოდ დროს დაკარგვაა. როგორ თუ გადაიდებს? ჯერ აღდგინება უნდა და მერე გადადება!.. განა დაწერა და გადაწერა ერთი და იგივეა? მაინც კი „ან-ბანი“ იცის, იმას ადვილად შეუძლიან უმეტ-ნაკლებოდ, გადახატვით გადასწეროს, რასაც კი მისცემთ გადასაწერად; მაგრამ თუ ის ენა არ ესმის და შესწავლილი არა აქვს, რომლიდანაც სწერს, როგორ გაიგებს სად რა შეცდომაა, სად მეტია, სად აკლია?! და მაშროგოლა გაასწორებს და ოღადებს დედანს?! გალობაც ისეა: „ანბანურად“ ნოტებით მისი გადადება ძნელი არ არის, მაგრამ აღდგინება? ნუთუ ქართული გალობა ისე დასრულებულია, რომ აღარა ეჭირვებარა, გარდა ნოტებით გადაცემისა? და სად არის ეს გალობა? და რომელია? – ზოგი ამტკიცებს „კარბელოვის“ (კარბელაშვილის – რედ.) გალობააო და ზოგი იძახის: „გურულიო“! – უპაცრავად კი გახლავართ, მაგრამ ორივე მხარე კი სტყუის...

„კარბელოვის“ გალობა არის მხოლოდ პირველი დასაწყისი გალობისა, პირველი გაკვეთილი და იმ პირველ მუხლით გალობენ ყოველ საგალობელს ისე, როგორც ახალი მოსწავლე ამოსაღებით ჰკითხულობს ყოველგვარ წიგნს, – „ალილოს“,

„სალხინოს“, „საზაროს“, „საძილისპიროს“, „სადღესასწაულოს“ და „ჭრელს“, თუ „საკარანახოს“ – ყველას ერთიანად იმავ კილო-ხმით გალობენ.

გურული გალობა, მართალია, სრული სკოლა არის, მაგრამ მეტის კრიმანჭულებით გადაუსხვაფერებიათ, გადაუცდენიათ კანონზე და ძველებურად ვეღარც ის ხატავს საგანს. და მაშასადამე, ეს გალობები რომ გადავიდოთ და მითი მოვრჩეთ საქმეს, პირველ შემთხვევაში უგუნურება იქნებოდა და მეორეში – შეცდომა. არა, კომიტეტს თუ მართლა გულწრფელად პსურს გალობის აღდგინება, უნდა აიჩინოს მცოდნე პირი. იმან უნდა მოიაროს მთელი საქართველო, ყოველ კუთხეში და ყოველგან დაუგდოს ყური საერო კილოხმებს, თვითონაც შეისწავლოს; ნამეტანი, რაც შეპარვია გალობას, გამორიცხოს, რაც აკლია – შეაგსოს, აღადგინოს ნელ-ნელა, აუზქარებლად და სხვებსაც ასწავლოს. ამგვარად შედგება სკოლა და გალობაც თანდათან სისრულეში მოვა. როგორც საჭმის მოსარჩევე და არა პირადობისა, ვიტყვი, რომ ამგვარი მოთავე კიდეცა გვყავს – ბ. ქორიძე. ვისაც გაუგონია მისგან ნოტებზედ გადაღებული გალობა და სიმღერები, თუ არ უნიოთ, წინააღმდეგობას ვერ დაიწყებს. ჩვენ არ ვიტყვით, რომ კიდევ უკეთესიც არ შეიძლებოდეს, მაგრამ ეს საზოგადო კანონია ყოველიფრისათვის!.. დღეს თუმცა მხოლოდ მარტო სამს ხმაზედ არის შედგენილი ეს გალობა, დანაშოენი ხმები არ ჩაერთვის და გუნდიც არ არის შემდგარი, მაგრამ მაინც გულს ელხინება მისი მოსმენა. განსაკუთრებით, გურული კრიმანჭულები საუცხოვოდ არიან გადაღებულნი. გალობას მხოლოდ ერთი მცირე რამ შევნიშნეთ, რომელიც აღვილი გადასასწორებელია: სამიერ ხმა ერთად იწყებს და ეს წინააღმდეგია ქართული გალობის: „მოძახილი“ მიტომ ჰქვიან ერთ ხმათაგანს, რომ მერე უნდა დაეხმაროს. საზოგადოდ, მოქმედი იწყებს, მაღალი ბანი მოსძახებს, კრინი აბამს, ბანი მხარს აძლევს, დგრინი აგვირგვინებს და მილი ატკბობს...

ამათ ყველას თავ-თავის დრო აქვს და შიგადაშიგ შეერთებულად ხმას გამოსცემენ ხოლმე და კიდევ ამაშია ჩვენი გალობის ტკბილხმოვანების საიდუმლო.

ქართული გალობა „დროება“
1884 წ. №40. გვ. 1-2.

WMINDA DIMITRI YIFIANIS ARQIVIDAN

(მასალა „გავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი
საზოგადოების“ ისტორიისათვის)

„გავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ (Общество восстановления православного христианства на Кавказе) დაარსების იდეა 1857 წელს გაჩნდა და ამ იდეის განხორციელებაში მონაწილეობდა კავკასიის ოფიციული სასულიერო, ისე სამოქალაქო ხელისუფლება [ეგზარქოსი ისიდორე (ნიკოლსკი; 1844-1858); მეფისნაცვალი ალექსანდრე ბარიატინსკი. 1856-1862].

„საზოგადოება“ პრაქტიკულად დაარსდა 1860 წელს თბილისში და დახურვამდე (1917 წელი) ენერგიულად ახორციელებდა იმ მისიონერულ მიზანს, რომელიც იმპერატორ ალექსანდრე II-ის მიერ დამტკიცებული წესდებით ჰქონდა განსაზღვრული (სხვა აღმსარებლობის მიმდევართა ქრისტეს სჯულზე მოქცევა, განდრეკილ შვილთა დაბრუნება მართლმადიდებლობის წიაღში, ძველი ეკლესია-მონასტრების აღდგენა და ახალ ტაძართა აგება, მათი შემკობა, ქალთა და ვაჟთა სასულიერო სასწავლებლების დაარსება და მოვლა-შენახვა, წმინდა წიგნებისა და რელიგიური ხასიათის სხვა ტექსტების, აგრეთვე სასულიერო სახელმძღვანელოების ბეჭდვა-გავრცელება და სხვა; დაფინანსების წყარო იყო როგორც ხაზინის ფული, ისე – შემოწირულობები). „საზოგადოების“ საქმიანობა კავკასიას მთლიანად მოიცავდა და მისი მუშაობის ინტენსიურობისა და მასშტაბის წარმოსადგენად აქ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვანო: – 1892 წელს „საზოგადოების“ დალისხმევით, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური წესით, ნებაყოფლობით მოინათლა: სოხუმის ეპარქიაში 241 მუსლიმი, 29 კათოლიკე და 6 ებრაელი; საინგილოში 61 ქართველი მუსლიმი; ჩრდილოეთ ოსეთში 23 წარმართი და სხვ. [იხ. Брокгауза и Ефронა Энциклопедический словарь. т. XIX, кн. 37 СПб.: 1896, стр.

448-449; „საზოგადოების“ საქმიანობის მიმოხილვა იხ. Савенко Е.А. Из истории деятельности общества восстановления православного христианства на Кавказе (к 150-летию основания). http://www.pgu.ru/lib/publications/University_Reading/2010/XV/uch_2010_XV_00017; „საზოგადოების“ საქმიანობის შესახებ საინტერესო ინფორმაციაა გაბნეული XIX საუკუნის ქართულ და კავკასიის რუსულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „მწყემსი“, „კავკაზ და სხვა]).

უნდა ითქვას, რომ „საზოგადოების“ მუშაობის ზოგიერთი მიმართულება ვერ აცდა კავკასიის ხალხთა რუსიფიკაციის სახელმწიფო პოლიტიკას. ასე, მაგალითად, 1864 წელს „საზოგადოებამ“ კირილცაზე დაყრდნობით თბილისში გამოსცა „სვანური ანბანი“ („Лушну анбан. Сванетская азбука“) და ეს ნაბიჯი, ცხადია, ქართველთა საერთო-ეროვნული თვითშეგნების დასუსტებისაკენ იყო მიმართული.

„კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ შესახებ მასალა (ლიტერატურა, დოკუმენტური წყაროები) საკმაოდ მწირია. ამ ფონზე, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ერთი საბუთი, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, დიმიტრი ყიფიანის პირად არქივშია დაცული (О возстановлении православия на Кавказе. Сакм №322. შავი. დიმ. ყიფიანის ავტოგრაფი. უთარიდო. რუსულ ენაზე. ფურც. 2). უკრნალ „მაყვლოვანის“ მკითხველს ვთავაზობთ ტექსტის ჩვენეულ თარგმანს.

კავკასიაში მართლმადიდებლობის აღდგენისათვის

ხელმწიფე-იმპერატორის უზენაესი განკარგულებითა და მისი მეუღლის, იმპერატორიცა მარია ალექსანდრეს ასუ-

ლის მფარველობით თბილისში არსდება „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“.

„საზოგადოების“ ნამდვილი წევრი გახდება ის პირი, რომელიც შეიტანს „საზოგადოების“ წესდებით დადგენილ საწევრო გადასახადს. წევრებისათვის იქმნება 4 სხვადასხვა ხარისხის სპეციალური სამკერდე ნიშანი. ნიშნის ხარისხი განისაზღვრება ყოველწლიური საწევრო შენატანის ოდენობით.

„საზოგადოების“ წევრებს ახლა უკვე არა დაფარულად, არამედ დვთისა და კაცო წინაშე ღიად და დაუფარავად შეუძლიათ ემსახურონ ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ სჯულს.

კავკასიის არაერთ ნაწილში მართლმადიდებლობა არსებობდა და არსებობს მოციქულთა დროიდან.

საქართველო მრავალი საუკუნის განმავლობაში იყო სისხლიანი მოვლენების არენა, მაგრამ ჯერ კიდევ ანდრია პირველწოდებულის, შემდეგ კი – IV საუკუნეში – მოციქულთა სწორის, წმ. ნინოს მიერ ნაქადაგევმა რწმენამ შეინარჩუნა თავისი ხელშეუხებელი სიწმინდე. მიმდინარე ასწლეულის დასაწყისში ქვეყნის მართვა გადაეცა რუსეთის ხელმწიფეს, მისი მფარველობის ქვეშ მოექცა მართლმადიდებლური სიწმინდისა და ჭეშმარიტების დამცველი ქართული ეკლესიაც. მაგრამ იმ მხარეებში, რომლებიც რუსული მმართველობის დამკვიდრებამდე მოსწყდა საქართველოს სამეფოს, ქრისტიანობა ბუნდოვანი მოგონებების ან ზოგიერთი დამახინჯებული წეს-ჩვეულების სახით არის შემოჩენილი.

ადრინდელი ქრისტიანული რწმენის უტყვი მოწმეებად კავკასიის მთებსა თუ ხეობებში დღესაც დგას ტაძრები, ეკლესია-მონასტრები, ჯვრები.

საქართველოს სამეფოს შეერთებით რუსეთმა ორგვარი პასუხისმგებლობა იტვირთა: დაიცვას წმინდა სჯული საქართველოში და აღადგინოს მართლმადიდებლური რწმენა იქ, სადაც იგი შერყეულია.

საქართველოში სისხლის ზღვაა დაღვრილი რწმენის გადასარჩენად. დღეს ჩვენი სამოციქულო ეკლესია დაცულია საფრთხეებისაგან, მაგრამ ეს არ არის საქმარისი – ჩვენ ჩვენი ეკლესიის წიაღს დაკარგული შვილები უნდა დაგუბრუნოთ.

და ეს უნდა გავაკეთოთ არა ნგრევით, განადგურებით, ცეცხლითა და მახვილით, არამედ წინ უნდა წავიმდგვაროთ ქრისტეს მოდვრება, სახარებისეული სიყვარული და ლმობიერება.

ახალი ტაძრების აგება და არა მიტოვებული და გაპარტახებული ეკლესიებისა და სალოცავი ქოხმახების განახლება, ადგილებზე ღირსეულ მდვდელმსახურთა და სათანადოდ უზრუნველყოფილ მქადაგებელთა მივლინება, საეკლესიო წიგნების ადგილობრივ ენებზე თარგმნა და გამოცემა, მოზარდებისათვის სამრევლო სკოლების დაარსება – ეს ღონისძიებები მიგვიყვანს წმინდა მიზანთან, რათა განდგომილმა სულიერმა შვილებმა ღვთის ტაძრებში აღავლინონ: „ვითარ საყუარელ არიან საყოფელნი შენი, უფალო ძალთაო!.. ვირჩიე მე მივრდომად სახლსა დმრთისასა, უფროის ვიდრელა არა დამკუიდრებად საყოფელ-სა ცოდვილთასა“.

მაგრამ რწმენა საქმეების გარეშე მკვდარია და აი, დასახულია ის წმინდა მიზანი, რომლის განხორციელებითაც დავამტკიცებთ – რწმენა ჩვენი ცოცხალია და ცხოველმყოფელი.

მშობლიური მართლმადიდებელი ეკლესიის შვილებო, გავუწოდოთ დახმარების ხელი ჩვენს შეცოომილ მმებს და ღვთისაგან ბოძებული მონაგებიდან გავიღოთ გარკვეული წილი ქრისტეს სიყვარულით გამსჭვალული საქმის სასარგებლოდ.

[1860]

მასალა მოამზადა
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორმა, პროფესორმა

თამაზ ჯოლოგუაშ

ANTIMOZ İVERIELİ DA QARTULI STAMBA

მრავალია მაგალითი იმისა, რომ ქართველი ადამიანი ნებით თუ უნებლიერ უცხოეთშია გადახვეწილი და თავისი ნიჭით და უნარით ამა თუ იმ ქვეყნის ცხოვრების სხვა და სხვა დარგში დიდი კვალი დაუტოვებია.

ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე, როდესაც ვეცნობით ანთიმოზ ივერიელის ცხოვრებას და მოღვაწეობას.

ვინ იყო ეს ანთიმოზ ივერიელი, რომელსაც რუმინელები ანტიმ ივერიანულს უწოდებენ, რომელიც ითვლება მათ ეროვნულ გმირად, რეფორმატორად და წამებულად და რომლის სახელი სამუდამოდ დაკავშირებულია საქართველოში პირველი ქართული სტამბის დაარსებასთან?

ამ დიდი ქართველის ცხოვრებაზე ქართულ ანალებში თითქმის არავითარი ცნობა არ მოიპოვება. ამიტომ ჩვენთვის მეტად საინტერესოა ის ნაშრომი, რომელსაც იძლევა მკვლევარი ემილ პიკო ანთიმოზ ივერიელზე. მან საგანგებო შრომა უძღვნა ანთიმოზს, რომელიც დაიბჯჰდა 1886 წელს პარიზის კრებულ „ნუვო მელანჟ ორიან“-ის მე-19 ტომში. თუმცა ავტორი დასაწყისშივე წუხს საბიოგრაფიო მასალის არასაკმაობაზე. ჩვენთვის, ქართველთაოვის, იგი მაინც უაღრეს ინტერესს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ ამ შრომის მიზანია, უმთავრესად, გამორკვევა ანთიმოზის ლიტერატურულ-ტიპოგრაფიული მოღვაწეობისა.

მკვლევარ ემილ პიკოს აზრით, ყველა იმ მიტოკოლიტთა შორის, რომელთა სამკვიდრებელი ვალახია იყო, არც ერთი არ შეედრება იმ მრავალფეროვან მოღვაწეობას, რომელიც გასწია ქართველმა ბერმა ანთიმოზმა. მისი მეცნიერება, მისი

არტისტული გემოვნება, მისი სიყვარული წიგნის მიმართ, მის მიერ გატარებული რეფორმები, საკმარისია მისი დიდი პიროვნების დასახასიათებლად. მაგრამ მხოლოდ ამით არ ამოიწურება მისი მდიდარი ბუნება; მან, უცხოელმა, მოსულმა მორეულ საქართველოდან, მოგვცა არაჩვეულებრივი მაგალითი რუმინული პატრიოტიზმისათვის. ასე აღფრთოვანებით ისესენიებს ემილ პიკო ამ ქართველს. ჩვენ, ქართველები, მით უფრო უნდა ვაფასებდეთ ჩვენს თანამემამულეს, რომ მას, მიუხედავად იმისა, რომ რუმინიაში უმაღლესი პატივი და ძლიერება დაიმსახურა, სიყვარული თავისი მშობლიური ქვეყნისა არ დავიწყებია. მისი წყალობით იყო, რომ ქართველებმა შექმნეს სტამბა ტფილისში, რომელიც პირველი იყო მთელ ახლო აღმოსავლეთში იმ დროს.

რა წელს მივიდა ანთიმოზ ბერი რუმინიაში, ამის ცნობა არ მოიპოვება, ხოლო უძველესი წიგნი მის მიერ დაბეჭდილი, მის ხელმოწერით აღნიშნული, დათარიღებულია 1692 წლით. ეს ის ხანაა, როდესაც რუმინეთი, როგორც სახელმწიფო არ არსებობს, არამედ როგორც სამთავრო ვალახია-მოლდავიისა, ახლად დამორჩილებული თურქების მიერ. მთავრებს ნიშნავდა სტამბოლი, რომლებიც მოდგმით მუდამ ბერძნები იყვნენ. საზოგადოდ, თურქთა ბატონობის დროს, მათ მიერ დაპყრობილ ქრისტიანულ პატარა ქვეყნებში (ასეთი მრავალი იყო იმ უამად) სასულიერო და საერო ხელმძღვანელობა ბერძნების ხელში იყო. ამით თურქეთი თავის საქმეს სხვისი ხელით აკეთებდა.

მთელ მართლმადიდებელ ეკლესიათა პატრიარქს სტამბოლში ედგა ტახტი და ის ტრადიციით მუდამ ბერძენი იყო. თუ

რომელიმე ქვეყანაში შეიქმნებოდა მოძრაობა თუ გინდ დამოუკიდებელ ეკლესიის შესაქმნელად, მას სასტიკად ებრძოდა როგორც კოსტანტინეპოლის პატრიარქი, ისე სულთანი.

ვინ იყო ეს მორჩილი ბერი ანთიმოზი? პიკოს მოჰყავს მწერალ დელშიაროს ცნობა, თითქოს ანთიმოზი ბერად აღკვეცის წინ ანდრიას სახელს ატარებდა. რუმინელი ისტორიკოსები ერთ დროს მისი სახელმწოდების წარმოშობას მიაწერდნენ ივერიელთა ათონის მთის მონასტრის სახლეწოდებას. ემილ პიკო განმარტავს, რომ სიტყვა ივერია არის ბერმნული სახელწოდება საქართველოსიო. გარდა ამისა, ერთ არაბულ წიგნში, ანთიმოზს გარკვეულად უწოდებენ ქართველს.

კრებულ კავკასიონში (პარიზის გამოცემა, №3) მოთავსებულია პატარა წერილი ს. შავმთიელის მიერ, რომლის მიხედვით ანთიმოზი შესაძლებელია აბაშიდე იყოსო. სამწუხაროდ, ავტორი არ ასახელებს წყაროს ამ ცნობისას. ამგვარად, თუ დელშიაროს ცნობას მივიღებთ, რომ ანთიმოზს ანდრია ერქვა და დავამატებთ ზემოხსენებულ ცნობასაც, მივიღებთ, რომ ერისკაცობაში ანთიმოზ ივერიელი იყო ანდრია აბაშიდე. ეს სახელწოდება უნდა ჩაითვალოს ჯერჯერობით პიპოთეზად, სანამ მომავალი მკვლევარი უდაოდ დაამტკიცებდეს მის ვინაობას.

შორეული გზიდან მოსულ ახალგაზრდა ბერს, ანთიმოზს დიდი ნიჭი გამოუჩენია სასტამბო ხელოვნებაში. მას თავის მასწავლებელთათვის წინ გაუსწრია და უკვე 1692 წლიდან დაბეჭდილ წიგნებს საკუთარ ხელს აწერს, როგორც მესტამბე ბერი ანთიმოზ ივერიელი. სტამბა ამ დროს გამართულია წმიდა სნაგოვის

მონასტრის მყუდრო კედელთა შორის. ანთიმოზის უანგარო შრომა და სიყვარული დაფასებულ იქნა და 1695 წ. ის ამოურჩევიათ წმიდა სნაგოვის მონასტრის იღუმენად. ამ ხნიდან იწყება მისი სატიპოგრაფიო საქმეთა განვითარება. მისი სახელი თანდათან იზრდება. ის ბეჭდავს არამარტო რუმინულ და ბერმნულ



მღვდელმოწამე ანთიმოზ ივერიელის წამება თურქთა
მიერ 1716 წელს

ენებზე, არამედ არაბულად და სხვ... მისი გამოცემანი ტეხნიკური და მხატვრული თვალსაზრისით არ ჩამორჩებოდა ევროპაში იმ დროს განთქმულ სტამბებს.

იღუმენ ანთიმოზს დიდ მფარველობას უწევს მაშინდელი მთავარი კოსტანტინებრაკოვანი. მისი თხოვნით, ის აწყობს აღმოსავლეთის ენათა წიგნების თარგმნას და ბეჭდვას.

1701 წელს სტამბა გადმოაქვთ ბუქარესტში, რადგან სნაგოვის მონასტრის სტამბა უკვე ვედარ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს.

1705 წელს რამნიკის საეპისკოპოსო თავისუფალია ეპისკოპოს ილარიონის გადაყენების გამო. მოწვეული ყრილო-

ბა ადგენს სამ კანდიდატს, რომელთა-
გან მთავარმა ერთი უნდა აირჩიოს. 1705
წელს ანთიმოზ ივერიელი ხდება რამ-
ნიკის ეპისკოპოსი. ამ ეპოქიდან მისი
მოღვაწეობა მრავალფეროვანია და ნაყ-
ოფიერი. სასტამბო საქმეებთან ერთად
ის ეწევა სააღმშენებლო და სამხატვრო
შემოქმედებას – თავისი ხელით ხატ-
ავს ეკლესიის კედლებს, ახდენს მრავალ
ეკლესიათა რესტავრაციას.

1708 წელს მიიცვალა მიტროპოლიტი
თეოდორე, რომელთანაც ერთ დროს ის
მივიდა როგორც მორჩილი ბერი სტამ-
ბის მუშად. ვინ შესძლებდა, თუ არა ან-
თიმოზ ივერიელი, ამ უმაღლეს საპატიო
თანამდებობის შესრულებას? მადლიერი
ერი მას ირჩევს უმაღლეს მიტროპოლ-
იტად. მიუხედავად უმაღლეს თანამდე-
ბობაზე მიღწევისა და პატივის დამსახ-
ურებისა, ის რჩება ნიმუშად ადამიანის
თავმდამბლობისა, მოყვესისათვის თავ-
დადებისა და სიყვარულისა.

მისი მოღვაწეობა მარტო სასულიერო
საქმეებით აღარ განისაზღვრება. ის
აარსებს მრავალ კულტურულ დაწესე-
ბულებათ, რომლებთანაც დღესაც მისი
სახელია დაკავშირებული. 1713 წელს
აშენებს ყველა წმინდანთა სახელო-
ბის ეკლესიას ბუქარესტში. მის ხელს
ეკუთვნის ამ ეკლესიის ქანდაკებანი, სა-
დაც ხშირად განმეორებულია მოტივი
ლოკონისი, რომელიც იყო ემბლემა
ამ წმიდა მოძღვრისა, სიმბოლო უბრა-
ლოებისა. ბუქარესტშივე დაარსა დიდი
მონასტერი, რომელიც დღესაც ატარებს
მის სახელს. თვითონ შეადგინა წესდება
და დაწვრილებითი ახსნა-განმარტება
ბერებისთვის. ეს წესდება არის საუკუ-
თესო ნიმუში მაღალი სიბრძნის და პუ-
მანიზმისა. მას არ დავიწყებია თავისი
საყვარელი სტამბაც. ის ადიდებს და
აძლიერებს მას. ურჩევს მოგება მოახმა-
რონ კეთილ საქმეებს. ეკლესიასთან და
მონასტერთან ქმნის მრავალ საქველმო-
ქმედო დაწესებულებებს, როგორიც არის
ბავშვთა სკოლა, უცხოელთა უფასო დამ-

არხევა და სხვა მრავალი. ცნობილია მისი
ქადაგებანი სარწმუნოებაზე, მორალზე,
ადამიანის დირსებაზე. განსაკუთრებ-
ული მოღვაწეობა გასწია სასულიერო
პირთა სულიერ ამაღლებისათვის, შეგ-
ბრძოლა ლოთობას და უვიცობას. მისი
ქადაგების ხელნაწერები დღესაც ინახე-
ბა რუმინის აკადემიის არქივში.

1715 წლიდან რუმინიაში მდგომარეო-
ბა იცვლება. ანთიმოზის მფარველი და
მეგობარი მთავარი კონსტანტინე ბრა-
კოვანი თურქების მიერ გადაუენებულ
იქმნა და მის ადგილს იჭერს ახალი
მთავარი ბერძენი ეტიენ კანტაკუზენი.
ახალ მთავართან ანთიმოზმა მეგო-
ბრული დამოკიდებულება დაამყარა.
მთავრის გაცემულ სიგელის ძალით ან-
თიმოზ მითროპოლიტის შექმნილი დაწე-
სებულებანი ხელშეუხებელნი დარჩენ.

ახალმა მთავარმა კანტაკუზენმა, რო-
გორც სჩანს, თურქების ნდობა ვერ დაიმ-
სახურა. ერთი წლის შემდეგ გაწვეულ
იქმნა სტამბოლში და მოკლული.

სტამბოლის პოლიტიკა იცვლება. თუ
ამ ეპოქამდე ის იყო ლოიალური, ახალი
მთავრის მოსვლასთან ერთად იწყება
სასტიკი რეჟიმი ძალადობისა.

ახალი მთავარიც ბერძენია ტომით.
ნიკოლა მავროკორდატო. მიტროპოლი-
ტი ანთიმოზი ცდილობს ამ ბერძენთან
გამონახოს საერთო ენა. მოუწოდებს მას
ზომიერებისაკენ. თვით ანთიმოზს, ელინ-
ური კულტურის საუკეთესო მცოდნეს,
იმედი აქვს გავლენა მოახდინოს მასზე.
ეკლესიის მოღვაწეთ მოწოდებით მიმარ-
თავს, სადაც ესაღმება ახალი მთავრის
დანიშნას, ყოველივე მისი ცდა უშედგ-
გოდ თავდება.

ბერძენი მთავარი ნიკოლა მავროკორ-
დატო მტკიცე ხელით ატარებს თურქე-
თის პოლიტიკას.

მიტროპოლიტ ანთიმოზს, ტომით
უცხოელს, ადვილად შეეძლო შეთანხ-
მებოდა ახალ მთავარს, თუ ის რუმი-
ნულ ეროვნულ ინტერესების დაცვას არ
გამოექმაბებოდა. მაგრამ მიუხედავად

მისი უცხოტომობისა, ის უსაზღვრო სიკუპარულს ატარებდა ახალ სამშობლოს მიმართ. ანთიმოზი გულისტკივილით უყურებდა სტამბოლიდან მოსულ ავანტიურისტთა თარეშს. როდესაც მისი ცდა ახალ ბატონების სწორ გზაზე დაჭენებისა უშედეგოდ დამთარდა, ის ბრძოლაზე გადავიდა. ანთიმოზი ჩვეული ენერგიით შეუდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. მოღალატენი მუდამ არსებობენ და ამ დროის რუმინელი მემატიანე რადო პოპესკო, რომელმაც ოკუპანტების მხარე დაიჭირა, ანთიმოზს ბრალს სდებს, რომ მას ბოროტი განზრახვა აქვს კანონიერი მთავრის მიმართ, რომ ანთიმოზი საიდუმლო კრებებს აწყობს, ხალხს მოუწოდებს აჯანყებისაკენ და დასავლეთ ის სახელმწიფოთა დახმარებით სურს განდევნოს ოკუპანტები.

განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელსაც მეთაურობდა მიტროპოლიტი ანთიმოზი, მარცხით დამთავრდა. ბერძნებს და თურქებს უკვე მაგრად ჰქონდათ ფეხი მოკიდებული. უსწორო ბრძოლაში ანთიმოზი დამარცხდა.

მთავარმა მავროკორდატომ მოიწვია ეპისკოპოსთა ყრილობა სასამართლოს შესაქმნელად. სასამართლოს წინაშე წარსდგა ანთიმოზ მიტროპოლიტი. დამცირების მიზნით მას მოხსნეს სამიტროპოლიტო მიტრა, სამოსელი და ყოველივე საპატიო ნიშანი, თავზე ჩამოაცვეს წითელი ქუდი, როგორც ჯადოსნობის ნიშანი...

საბრალმდებლო ოქმში აღნიშნულია, რომ ეს წმინდა ადამიანი ეწეოდა შავ მაგიას და ყოველგვარ ჯადოსნობას. (ალბად მხედველობაში ჰქონდათ ანთიმოზის მოღვაწეობა, როგორც მესტამბის და ხელოვანის); რომ ის იყო კონსპირატორი და რევოლიუციონერი, აჯანყების მეთაური კანონიერი ხელისუფლების მიმართ. სასამართლომ მიუსაჯა გადაყენება ყოველგვარ თანამდებობიდან და გაძევება ეკლესიიდან.

საინტერესოა ერთი მოვლენა ამ პრო-

ცესში. ამ განაჩენს ხელს აწერს 11 ბერძენთა მოდგმის ეპისკოპოსი და არც ერთი რუმინელი. ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ რუმინელების მიერ იმ დროსაც დაფასებულ იქმნა ანთიმოზი.

მთავარი არ დაკმაყოფილდა მიტროპოლიტ ანთიმოზის გადაყენებით. მას მიუსაჯა სინაის მონასტერში ადგვეთა. მაგრამ მთავარს უფრო დიდი ბოროტი განზრახვა ჰქონდა. მან საიდუმლო ბრძანება მისცა მის მცველებს, რომ იგი გზაში მოეკლათ. და მართლაც, როდესაც დატყვევებული ანთიმოზი გადაჭყავდათ მდინარე დუნაიზე, მკვლელებმა მას ყელი გამოსჭრეს და მისი ცხედარი მდინარე დუნაიში გადააგდეს.

ეს შემაძრწუნებელი ამბავი ელგის სისწრაფით მოედო მაშინდელ ქრისტიანულ ქვეყნებს, რამაც გამოიწვია სასტიკი ზიზღი თურქების მიმართ.

ასეთი იყო ტრადიკული ბოლო ანთიმოზი ივერიელისა. რუმინელებს სამართლიანად შეუძლიათ ჩასთვალონ ანთიმოზ ივერიელი, როგორც ეროვნული გმირი, რუმინელ ერისათვის წამებულიო, – ამბობს მკვლევარი ემილ პიკო.

მართლაც, რუმინელების ეროვნულ შეგნებაში ანთიმოზის სახელი უკადავი შეიქმნა. დღესაც ამ შესანიშნავი ქართველის სახე, რომელმაც შექმნა სახელოვანი ფურცელი რუმინიის ისტორიაში, გამოხატულია მის მიერ შუაგულ ბუქარესტში აგებულ ეკლესიის კედელზე. რუმინულ სკოლებში დღესაც ასწავლიან ანთიმოზი ივერიელის ცხოვრებამოღვაწეობას.

1919 წელს, როდესაც რუმინეთს ეწვია საქართველოს დიპლომატიური მისია, ჩასვლის მესამე დღეს, მისიის თავმჯდომარემ მიიღო წერილი აკადემიკოს ბიანოსაგან, შემდეგი შინაარსისა: – სულით და გულით მივესალმებით რა ქართული მისიის ჩვენში ჩამოსვლას, ორ ქვეყანას შორის კავშირის გასაბმელად, ბედნიერი ვარ ვისარგებლო ამ შემთხვევით და გაცნობოთ, რომ თქვენ პირველი

ქართველი ორ ბრძანდებით, რომელიც საქართველოს ჩემს ქვეყანას აცნობს. მე-17 საუკუნეში რუმინეთს ეწვია ერთი ქართველი ახალგაზრდა, ანთიმოზ ივერიელი, რომელმაც არაჩვეულებრივი ნიჭით და პატიოსნებით, სამართლიანად დაიმსახურა მაშინდელი რუმინეთის პატივისცემა და სიყვარული. იმ ქართველის მოღვაწეობა იმდენად ნაყოფიერი და თვალსაჩინო შეიქნა, რომ ის გახდა სრული ბატონ-პატრონი სასულიერო უწყებისა და მიაღწია უმაღლეს ხარისხს, შეიქმნა მიტროპოლიტი ბუქარესტისა, რაც მას პირველ ადგილს ანიჭებდა მაშინდელ რუმინეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში... და სხვა.

რუმინეთის აკადემიამ სპეციალური სხდომა მოიწვია ქართული მისის ჩამოსვლის გამო და ანთიმოზ ივერიელის ხსოვნის მოსაგონებელ მოხსენებაში აკადემიკოსმა დაწვრილებით გააცნო ქართულ მისია ანთიმოზ ივერიელის როლი რუმინეთის ისტორიაში.

როგორც ზემოთ მოვისხენიე, ანთიმოზი რუმინეთის მიტროპოლიტად აკურთხეს 1708 წელს, რაც მას ანიჭებდა უმაღლეს მდგომარეობას. მიუხედავად ამისა, თავისი პირველი სამშობლო მას არ დავიწყებია. მის გულში არასოდეს ჩამქრალა სიყვარული საქართველოს მიმართ. და სწორედ იმ დროს, როდესაც მან მოიპოვა და დაიმსახურა თავის მეორე სამშობლოში პატივი, დიდება და სიმდიდრე, მისი თვალები მიეპყრენ შორეულ საქართველოს. ის უძღვნის პირველ სამშობლოს უდიდეს განძს, და ეს განძი იქნება პირველი ქართული სტამბა საქართველოში. როგორც სჩანს, ეს სურვილი მას დიდი ხანია პქნია, რადგან 1709 წ. მისი წყალობით, უკვე პირველი წიგნი იძექდება თბილისში. ანთიმოზს კარგი დრო და შრომა დასჭირდებოდა, სანამ ის ჩამოაყალიბებდა ქართულ სტამბას და შეასწავლიდა ქართულ ენას იმ პირს, რომელიც თავის მხრივ ქართველებს შეასწავლიდა სასტამბო საქმეებს. უნდა

ვიფიქროთ, რომ ეს საქმე მან დაიწყო მაშინ, როდესაც ის მუშაობდა სხაგოვის სტამბაში.

პიროვნება, რომელიც მან აირჩია იმ დროისთვის ამ რთული საქმის მოსაგვარებლად, იყო ტრანსილვანიული მიხეილ სტეფანოვიჩი. ტფილისში მის მიერ გამოცემულ წიგნებს ის აწერს ხელს: – მიხეილ სტეფანესშვილი უნგრო-ვალახელი (უნგრო – რადგან იმ დროს ტრანსილვანია უკუთვნოდა უნგრეთს). რა დროს მოვიდა მიხეილი ტფილისში, ამის ცნობა არ გაძეს. მხოლოდ უნდა ვიგულისხმოთ, რომ უფრო ადრე 1709 წლისა, რადგან ამ წლიდან უკვე სტამბაა გამართული და წიგნებიც იძექდება.

საინტერესოა მოვიყვანოთ ზაქარია ჭიჭინაძის ცნობა ამ საკითხზე. ის თავისი ქართული წიგნის ისტორიაში მოგვითხრობს შემდეგს: „მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს, რადაც ბედზე ვალახიაში ყოფილა ერთი ქართველი ეპისკოპოსი... მას ჩამოუსხმევინებია ქართული ასოები და ამ ასოების ნიმუშები საქართველოში გამოუგზავნია. როგორც სჩანს ქართველები ძლიერ კმაყოფილი დარჩენილან ამ ამბით, რადგან ქართველმა ეპიკოპოსმა მალე იშოვნა ოსტატი კაცები, მოიპოვა ყველა სასტამბო იარაღები, ჩამოასხმევინა ქართული ასოების ყალიბები, ყალიბებს მოჰყვა თვით ასოების ჩამოსხმა – და ყველა ეს გადმოგზავნილი იქმნა საქართველოში“...

ემილ პიკო ფიქრობს, რომ ტფილისში ამ დროს ე.ი. 1709 წ. დაბეჭდილი სახარება არის პირველი დაბეჭდილი ქართული წიგნი. ეს სინამდვილეს არ შეეფერება. უფრო მართალი იქნებოდა გვეთქვა, რომ ეს იყო პირველი დაბეჭდილი წიგნი ტფილისში. რადგან პირველი ქართულად დაბეჭდილი წიგნები გამოდის რომში 1629 წელს. ეს ქართული პირველი წიგნებია ქართულ-იტალიური ლექსიკონი და ქართული ანბანი ლოცვებითურთ, რომელიც „ქართული წიგნიბილიოგრაფიაში“ არიან შეტანილნი

როგორც №1 და №2 (იხ. ქარ. წიგ. ბიბ. ტომი 1. ტფილისი 1941 წ.). მათი ავტორებია იტალიელი სტეფანე პაოლინი და ქართველი ნიკიფორე ირბახი – იგივე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, კაცი ფრიად განათლებული, ევროპიული ენების მცოდნე და ელჩი თეიმურაზ პირველისა დასავლეთ ევროპაში, საგანგებო დავალებით წარგზავნილი. მესამე ნომერი ქართული წიგნისა არის აგრეთვე რომის სტამბაში გამოსული მისიონერ მარია მაჯიოს ქართული ენის გრამატიკა. ეს იყო პირველი ნაბეჭდი წიგნების ქართული ტექსტით, მხედრული შრიფტით.

მე-4 ნომრად ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიაში შეტანილია არჩილ მეორის მიერ მოსკოვში დაბეჭდილი დავითი 1705 წელს. საქართველოდან გარდახვეწილი არჩილ მეორე მოსკოვში ყოფნის დროს უკავშირდება დასავლეთ ევროპიდან მოსულ განათლებულ უცხოელებს. ერთერთი მათგანის მეშვეობით აკეთებინებს ქართულ ასოებს ამსტერდამში და მოსკოვში აწყობს ქართულ სტამბას.

ამგვარად, ქართული წიგნის ბეჭდვის საქმე თითქმის ორი საუკუნის მოგვიანებით (როგორც ცნობილია, გუტენბერგმა პირველი საბეჭდავი მოაწყო 1455 წელს) უცხოეთში იწყებს განვითარებას. ეს გასაგები გახდება, თუ მოვიგონებთ, რომ მე-15-17 საუკუნეებში საქართველოში მუდმივ ომიანობას და შინაურ განხეთქილებებს პქონდა ადგილი. სწორედ იმ წლებში, როდესაც რომში პირველი ქართული წიგნი იძეჭდებოდა, საქართველოს უდიდესი ისტორიული უბედურება დაატყდა თავს. ის იყო შახაბაზის შემოსევა.

ანთიმოზ ივერიელის დაწყებულ ქართულ სტამბის შექმნის საქმეს, ნაყოფიერი ნიადაგი დახვდა მაშინდელ საქართველოში. ეს იყო სანა ვახტანგ მეექვსესი. ყველამ ვიცით, თუ რა საპატიო ადგილი უკავია ვახტანგ მეფეს ქართული კულტურის ისტორიაში. ის იყო არა მარტო მაშინდელ ქართლის პოლიტიკური

ხელმძღვანელი, არამედ მთელი საქართველოს ინტელექტუალური მოღვაწეობის და საქმიანობის მეთაური. მიუხედავად იმისა, რომ მისი მეფობა ერთი ათეული წელი გაგრძელდა მხოლოდ, განსაცვიფრებელია ის ენერგია და შრომა, რომელიც მან გამოიჩინა ამ მცირე ხნის განმავლობაში. მისი პირადი მონაწილეობით მუშავდება ქართული ისტორია, ქართული სამართალი და სხვა. თვით მწიგნობარმა და პოეტმა პირველად კრიტიკულად გადაამუშავა ვეფხისტყაოსნის ტექსტი, დაურთო კომენტარები და პირველად დაბეჭდა.

ანთიმოზ ივერიელი ვახტანგზე უკეთეს ვის მონახავდა, რომ ქართული სტამბის საქმე საქართველოში კეთილად დაგვირგვინებულიყო. ვახტანგი მტკვრის ნაპირას, თავის სასახლის მახლობლად სპეციალურად აგებს სტამბის სახლებს, არ ერიდება არავითარ ხარჯებს და შრომას. 1709 წელს ტფილისის სტამბიდან გამოდის პირველი ნაბეჭდი წიგნი – სახარება, №5-ად შეტანილი ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიაში, ხოლო № პირველი საქართველოში დაბეჭდილი წიგნი იმ დროს, როდესაც არცერთ მეზობელ სახელმწიფოში არ იყო შემოღებული წიგნის ბეჭდვა. ტფილისში უკვე ქართული წიგნის ბეჭდვას მკვიდრი საფუძველი ეყრდნა. თვით სპარსეთში, რომელიც ამ დროს დიდ სახელმწიფოდ ითვლებოდა, მეცხრამეტე საუკუნემდე ხელით წერას მიმართავდნენ.

ვახტანგის სტამბაში გამოცემულ წიგნების თავსა და ბოლოში მოთავსებულია წინა და ბოლოსიც მეცხრამეტე საუკუნემდე ხელით წერას შეიცავენ.

თავის დროზე ჩვენს ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს ყურადღება მიუქცევიარუმინულ ენაზე ქართული ასოებით დაწერილი ქართული ბიბლიის ბოლოს დაბეჭდილი პატარა ლექსისთვის, რომელიც გამოუშავნია ბუქარესტში და იქ დაუბეჭდიათ რუმინულ გეოგრაფიულ

საზოგადოების ბიულეტენში 1883 წელს. ემილ პიკოს მოჰყავს თავის შრომაში ეს ტექსტი:

„ვითარცა უცხონი იხარებენ ხილვასა ზედა თვისთა სამკვიდრებელთასა, და ზღვათა შინა მავალნი – ხილვასა ზედა ნავთსაყუდელისა, ეგრეცა მესტამბენი იხარებენ გასრულებასა ზედა წიგნოასა“.

ემილ პიკოს აზრით, ამ სიტყვების ავტორი რუმინელი მესტამბე კი არ არის, არამედ თვით ანთიმოზ ივერიელი, რადგან მას ჩვეულება ჰქონდა, მის მიერ დაბეჭდილი წიგნები ამ პატარა ბოლოს-იტყვაობით დაემთავრებინა. მის მოწაფეს სტეფანოვის ეს ჩვეულება ანთიმოზისა ტფილისშიც შემოუდია, რომელიც მაშინ დატვირთების ტრადიციად გადაუქცევიათ და რომელიც სხვადასხვა ვარიანტებით მეორდებოდა.

1709 წლის გამოცემული პირველი სახარება მხატვრულად არის გაფორმებული: თავფურცელი შემკულია ორმაგი ორნამენტით და წმინდანთა სურათები შესრულებულია ფერადებით. საინტერესოა წინასიტყვაობა ამ სახარებისა, რომელიც ეკუთვნის მიხეილ სტეფანოვის: „... სიმდაბლით გევედრებით თქვენ, ყოველთა, დიდთა და მცირეთა, უკეთუ ცოომილი რაიმე იხილოთ, სიტყვა ან ასო, ნუ გამქირდავთ, რამეთუ უცხო ვიყავ ქვეყანასა ამის და უსმენელი სიტყვათა თქვენთა და, რომელნი ჩემნი მოწაფე იყვნენ, ეგრეთვე გამოუცდელნი საქმესა ამისა ჩემისა: ვითა მე ვიყავ ქართლის

უნახავი, ეგრეთვე ჩემნი მოწაფენი სტამბისა. გლოცავთ თქვენ, შემინდევით სულიერითა სიყვარულითა, რათა თქვენცა მოგიტევნეს. უფალი ბრძანებს: მიუტევნეთ და მოგეტევნეს თქვენ. მდაბალი ამით ბეჭდვათაგან მესტამბე მხურვალითა გულითა ვმუშაკობ, მოსამსახურე თქვენი მიხეილ სტეფანესშვილი უნგროვალახელი“.

ვახტანგის ხანმოკლე მეფობა რუსეთში იძულებითი გადასახლებით დამთავრდა. როგორც ვიცით, ვახტანგთან ერთად გადაიხვეწა რუსეთში 1724 წელს მთელი მაშინდელი განათლებული თაობა, რიცხვით 1400 კაცი. ამ რიგად შეწყდა ვახტანგ მეფის მიერ დაწყებული ქართული სტამბის არსებობა ტფილისში და ყოველგვარი კულტურული საქმიანობაც.

1737 წელს ვახტანგ მეფემ ქალაქ ასტრახანში დაამთავრა განაწამები სიცოცხლე.


როგორც ვნახეთ, მისმა თანამშრომელმა სასტამბო საქმეებში, ანთიმოზ ივერიელმა, არანაკლები ტრადედიით დაამთავრა თვისი ცხოვრება.

ამ ორი დიდი ქართველის სახელი სამუდამოდ და განუყრელად დაკავშირებულია ქართული სტამბის დაარსებასთან, ქართულ წიგნთან.

„ბედი ქართლისა“ №24-25, 1957 წ.
თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი
(გ. შარაძის კერძო კოლექცია).

RIRSI MAMA IOB POCAEVELI

(ცხოვრება და მოღვაწეობა)




ლირსი მამა იობ პოჩაეველი (იოანე უელეზ) თავადაზნაურული ჩამომავლობისა იყო. იგი დაიბადა 1550 წელს.

ლირსი იობი ათი წლის ყმაწვილი იყო, როცა უგორნეცის ფერსიცვალების მონასტერში მივიდა და იმგვარი მოშურნეობით შეუდგა დვაწლს, რომ ჯერ კიდევ 12 წლის მოზარდი ბერად აღკვეცეს და იობი უწოდეს; როდესაც ბერი იობი სრულწლოვანი გახდა, მღვდლის ხარისხის, ხოლო 30 წლისა დიდი სქემის ლირსი შეიქნა და ნათლობის სახელი — იოანე ეწოდა.

ლირს იობს რთულ დროს მოუწია ცხოვრება. დასავლეთ რუსეთის განაპირა მხარეს მართლმადიდებლები პოლონურ-ლიტვური ხელისუფლებისგან ეკლესიურ

და პოლიტიკურ შევიწროებას განიცდიდნენ. ცნობილია, რომ გალიციისა და ვოლინის ტერიტორიებზე, ჯერ კიდევ მე-15 საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, აქტიურად ინერგებოდა ბრესტის უნია, ანუ კათოლიკეთა გაერთიანება, რომლის თანახმად, მართლმადიდებლებს შეეძლოთ შეენარჩუნებინათ ლვოისმსახურების აღმოსავლური წესი, მაგრამ კანონიკურად რომაელ ეპისკოპოსს უნდა დაქვემდებარებოდნენ. ძირძველი რუსი მართლმადიდებელი მოსახლეობისთვის მძიმე ჟამი დადგა — მართლმადიდებლებს დევნიდნენ და ადამიანებს ძალაცანებით აიძულებდნენ, უნია მიედოთ. ამ პირობებში ლირსი მამა იობი არა მარტო მკაცრ ასკეტურ ცხოვრებას ადასრულებდა, არამედ მართლმადიდებლობის აქტიური დამცველიც იყო. პოჩაევის მონასტრის პირველი წინამდღვარი წმიდა იობი კათოლიკებისაგან გამუდმებულ დევნას განიცდიდა.

წმიდა იობს განსაკუთრებული ნდობა გამოუცხადა და მფარველობა გაუწია ვოლინში მართლმადიდებლობის ცნობილმა დამცველმა, თავადმა კონსტანტინე ოსტროვსკიმ. მისი თხოვნით, ლირსი მამა დუბენსკის ჯვრის მონასტერში მიიღეს და საძმოს წინამდღვრად დაადგინეს. წმ. იობმა ოცი წელი დაპყო იღუმენის ხარისხში. სწორედ ამ დროს დაიდო ბრესტის უნიის ხელშეკრულება, რასაც მართლმადიდებელთა დევნა-შევიწროება მოჰყვა. თავად კონსტანტინეს, რომელიც მფარველობდა ლირს მამა იობს, უზარმაზარი გავლენა პქონდა ვოლინში; იგი პოლონეთის მეფის, სიგიზმუნდ მესამის და რომის პაპის, კლიმენტ მერვეს პატივისცემით სარგებლობდა. ამიტომ უნიატები ვერ ბედავდნენ წინ აღდგომოდნენ იღუმენის მოღვაწეობას. დუბენაში მოღვაწეობის დროს წმიდა იობ-



ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტერფის
ანაბეჭდი, რომელიც პოჩაევის მთაზე
გამოცხადების შემდეგ აღიბეჭდა.

მა მართლმადიდებლური ლიტერატურის გავრცელება დაიწყო. ამ მიზნით ის სათავეში ჩაუდგა მთარგმნელობით საქმიანობას და წიგნების გადაწერას. ღირსი მამა იობი თავადაც მონაწილეობდა საგამომცემლო საქმიანობაში. მისი კურთხევით 1582 წელს თავადმა კონსტანტინემ ქალაქ ოსტროგში გამოსცა პირველნაბეჭდი სლავური ბიბლია, რომელსაც შემდგომში ოსტროგის ბიბლია (ოსტროგსკაია) ეწოდა. ერთის მხრივ, საგამომცემლო საქმიანობასთან დაკავშირებული საზრუნავი და მღელვარება, მეორე მხრივ კი, ლათინთა მტრობა ღირს იობს ბერ-მონაზვნური საქმიანობისგან განაშორებდა და აიძულებდა, ყურადღება გადაეტანა სხვა მოვლენებზე. ამიტომ მან გადაწყვიტა დაეტოვებინდა დუბენსკის მონასტერი და დაახლოებით 1604 წელს მონასტრის მახლობლად დასახლდა – პოჩაევის მყუდრო სავანეში. მაგრამ ის აქაც იძულებული გახდა დათანხმებულიყო სამოს თხოვნას და მონასტრის წინამდღვრობა ეტვირთა.


პოჩაევის მთა ჯერ კიდევ მე-13 საუკუნეში, თათართა შემოსევის დროს მართლმადიდებელი ბერების სამოღვაწეო ადგილად იქცა. ეს იყო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის გამოცხადებით ნაკურთხი ადგილი. ეს სასწაული 1340 წელს აღსრულდა. მას შემდეგ სავანის დიდ სიწმიდეს წარმოადგენს ღვთისმშობლის ტერფის ნაკვალევი, რომელიც ყოვლადწმიდა ქალწულმა მარიამმა ამ ადგილის მონახულების ნიშნად დატოვა ქვაზე. აქედან მოყოლებული, პოჩაევის მთაზე

მოღვაწეობდნენ განდეგილი ბერები, აქვე ჰპოვეს თავშესაფარი კიევ-პეჩორის დარბეული მონასტრის ბერებმაც. მე-16 საუკუნის ბოლომდე სავანე იდიორიტმული წესით ცხოვრობდა: ბერები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ გამოქვაბულებში და დღესასწაულზე სალოცავად იურიდნენ თავს ღვთისმშობლის მიძინების პატარა ტაძარში. ღირსმა მამა იობმა პოჩაევის მონასტერში დააწესა ზოგადცხოვრებულობა სამონასტრო წესდება. სავანე შემოღობა ბადით და ღვთისმოსავი მემამულების, დომოშევსების დახმარებით წმიდა სამების სახელზე ტაძარი აღმართა, მოგვიანებით კი ექვსი პატარა სამლოცველოც ააგო.

ვოლინში მართლმადიდებლობის განსამტკიცებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ღირსი მამა იობის საგამომცემლო და ლიტერატურულ საქმიანობას. მე-17 საუკუნის დასაწყისში ამ მხარეში მხოლოდ ერთი – პოჩაევის სლავური ტიპოგრაფია იყო შემორჩენილი. სწორედ საგამომცემლო საქმიანობა გამოიყენა ღირსმა იობმა უცხო აღმსარებლობასთან საბრძოლველად. აქ იბეჭდებოდა მამხილებელი და დოგმატური ხასიათის წიგნები, მართლმადიდებლური სწავლანი, ლოცვანი და ეპისტოლები.

პოჩაევის მონასტრის იღუმენი, ღირსი მამა იობი არა მხოლოდ მოშურნე მოღვაწე, მქადაგებელი, აპოლოგეტი, ეკლესიების მაშენებელი და სამმოს მოძღვარი იყო, არამედ შეცდომილთა მწყემსიცერთხელ, როდესაც იღუმენი დამით მონასტრის კალოზე გავიდა, მან დაინახა ქურდი, რომელსაც ზურგზე უნდოდა წამოეკიდებინა ხორბლით სავსე ტომარა. ღირსი მამა დაეხმარა მას ტომრის აწევაში, მაგრამ შეახსენა, რომ ამ საქციელისთვის საშინელ სამსჯავროზე ქრისტესთვის პასუხისმგებელი მოუწევდა. მოღვრის საქციელით ნათქვამით გაოგნებული ცოდვილი ფეხებში ჩაუვარდა წმიდანს და პატიება ითხოვა.

ამგვარ ღვაწლში გადიოდა წმინდანის ლოცვით აღბეჭდილი, განდეგილი ცხოვრება. პოჩაევის ლავრაში დღემდევა შემორჩენილი გამოქვაბული, სადაც რამა აქედან მოყოლებული, პოჩაევის მთაზე



პოჩაევის მონასტრის ყოვლადწმიდა
ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი,
რომელიც რუსეთის მართლმადიდებელი
ეკლესიის ერთ-ერთი ცნობილი ხატია
და მას ეთაყვანება საყოველთაო
მართლმადიდებელი ეკლესია.

დენიმე დღე-დამის განმავლობაში ფეხზე
მდგომი ლოცულობდა დირსი მამა იობი.
ერთ-ერთ ასეთ დამეს, წმინდანის ლოცვის
დროს დაინახეს უჩვეულო შუქი, რომელიც
ასხივოსნებდა გამოქვაბულს.

ლოცვის და ღვთივმზრახველობის გარ-
და ღირსი მამა ფიზიკურ შრომასაც ეწეო-
და. იგი მონასტრის ბაღში მუშაობდა; მისი
დარგული ხეები დღემდე ხარობს.

1620 წელს ღირსი მამა იობი მონაწ-
ილეობას ღებულობდა კიევის საეკლესიო
კრებაში, რომელმაც დაგმო უნია და დაად-

გინა, რომ მტკიცედ დამდგარიყვნენ მარ-
თლმადიდებლობის სადარაჯოზე. წმიდა
ბერისათვის კათოლიკებთან და პროტ-
ესტანტულ სექტებთან ბრძოლა უმნიშნ-
ველოვანები იყო.

ღირსი მამა გარდაიცვალა 1651 წლის 28
ოქტომბერს, მისი ნეშტის წმინდა ნაწილე-
ბი 8 წლის შემდეგ იქნა მოძიებული, მას
შემდეგ, რაც კიევის მიტროპოლიტ დიონ-
ისეს წმიდანი სამჯერ გამოეცხადა.

1675 წელს ღირსი მამა იობის ლოცვით,
ღვთისმშობლა თათრებისა და თურქების
მიერ ალყაშემორტყმული პოჩაევის სავანე
იხსნა. ყველადწმიდა ღვთისმშობლი
მეომრებს წმიდა იობთან ერთად გამოეცხა-
და, რის შემდეგაც ლავრისკენ მიმართული
ისრები მტერს უკან უბრუნდებოდა და თა-
ვად ისინი იხოცებოდნენ. ამ სასწაულის
მხილველი მუსლიმები დამფრთხალები
გარბოდნენ.

1721 წელს პოჩაევის მონასტერი უნი-
ატებდა ჩაიგდეს ხელში. მხოლოდ 110
წლის შემდეგ, 1831 წელს, შეუერთდნენ
უნიატები მართლმადიდებელ ეკლესიას.
მაშინ ღირსი მამის, იობ პოჩაეველის ნეშ-
ტი საზეიმოდ იქნა აღმოყვანილი, რათა
მისთვის თაყვანი ეცაო, ხოლო პოჩაევის
მონასტერი ლავრად გამოცხადდა.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია
წელიწადში სამჯერ ზეიმობს ღირსი მამა
იობის ხენების დღეს: პირველად მისი
გარდაცვალების დღეს – 10 ნოემბერს,
მეორედ მისი ნეშტის წმიდა ნაწილების
პოვნის დღეს – 10 სექტემბერს და მესამედ
იობ მრავალტანჯულის ხენების დღეს –
18 მაისს.

**რუსულიდან თარგმნა
თინათინ მეტრეველმა.**

IGAVI UGUNURI MDIDRIS SESAXEB (LK.12, 16-21)

დღეს წაკითხულ ლუკას სახარების იგავში, რომელიც მდიდრის შესახებ მოგვითხობს, მაცხოვარი ადამიანებს შეაგონებს, მოერიდონ ანგარებას და სიხარბეს – ადამიანისათვის დამახასიათებელ ავადმყოფურ ლტოლვას – რაც შეიძლება მეტი ქონება მოიხვეჭოს და დაიუნჯოს და რაც, წმინდა წერილის მიხედვით, ადამიანთა ცხოვრებისეულ მანკიერ თვისებად მიიჩნევა.

მაცხოვარმა მოწაფეები და მდიდრის იგავის მოსასმენად შეკრებილი ადამიანები, საგანგებოდ შეამზადა სიტყვებით: „ეკრძალენით და დაიცვენით თავნი თქუნი ყოვლისაგან ანგარებისა, რამეთუ არა ნამეტნავისაგან ვისამე არ ცხოვრებაი მისი ნაყოფთა მისთაგან“ (ლკ.12,15). ე.ი. ყოველმხრივ კცადეთ, გაფრთხილდით, დაიცავით თავი ყოველგვარი ანგარებისა და სიხარბისაგან. იცოდეთ, რომ ადამიანები ვერ ცხონდებიან ანგარებით, სიხარბით და მომხვეჭველობით; რომ სულის მშვიდობა, კეთილდღეობა და სათხო ცხოვრება სრულებით არ არის დამოკიდებული ქონებაზე, სიმდიდრეზე, თუნდაც იგი უთვალავი და აურაცხელი ჰქონდეს ადამიანს. ჭარბი, აურაცხელი და ზედმეტი სიმდიდრე არ განსაზღვრავს მის კეთილდღეობას, მით უფრო, თუ ამ ქონებას არასწორად იყენებენ ზოგიერთები. ამაზე პასუხს გვაძლევს კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება. დიდი და მუყაითი შრომით შეძენილი სიმდიდრის მიმართაც კი ადამიანის მიღგომა უნდა იყოს დვთის ნებას დამორჩილებული. მაშინაც კი, როცა უფალმა შექმნა სამყარო, სავსება მისი და მოსახმარად მისცა ადამიანს, თავისი შემოქმედების ნაყოფი, გააფრთხილა იგი, რომ უზენაესის საჯუორებაა „სოფელი და სავსება მისი“ (ფს.49,12).

მატერიალური ქონება ადამიანებისათვის ერთგვარი გამოცდაა. მას გამოყენებითი დირებულება აქვს მხოლოდ ამ სამყაროში და მისგან მისხალიც არ მიჰყვება იმ სამყაროში. ჩვენ ყველას გვავიწყდება მარ-

თალი მრავალვნებული იობის ცხოვრება, ადამიანებისთვის ნათქვამი მისი დამაფიქრებელი სიტყვები: „შიშველი გამოვედი დედის მუცლიდან და შიშველი დავბრუნდები იქ უფალმა მომცა, უფალმა წაიღო“ (იობი, 1,21). ეს ხომ ყველას ამქვეწიური ცხოვრების გარდაუვალი დასასრულია.

ჭარბი ქონება ყოველთვის ზედმეტ საზრუნოას უქმნიდა და უქმნის ადამიანებს. ჭარბი ქონების მართვა, შენახვა და საქმეში დაბანდება მოითხოვს სხვებთან შესატყვისი ურთიერთობების დამყარებას. ამ ურთიერთობების წარსამართავად იქმნებოდა და დღესაც იქმნება კ.წ. თამაშის წესები, რაც, ერთის მხრივ, სარგებლობის მომტანია, მაგრამ ხშირად კაბალურ მდგომარეობაში აყენებს საზოგადოების უდიდეს ნაწილს, რაც ქრისტიანული თვალსაზრისით ზოგჯერ მისაღებ ზეობრივ ნორმებსაც სცილდება.

ამ თვალსაზრისის დასამტკიცებლად, გაგახსენებო დღეს წაკითხულ იგავს: ერთ მდიდარ გლეხს წარმოუდგენლად დიდი მოსავალი მოუვიდა. „რა ვქნა?“ – იფიქრა გლეხმა. არ ვიცი, სად წავიდო ამდენი მოსავალი. მოდი, ჩემს ყველა ბედელს დავანგრევ, ახალ, უფრო დიდ ბედლებს ავაშენებ და მოელ მოსავალს იქ დავაძინავებ. მერე კი დაჯექი, სულო ჩემო, გაქვს მრავალი წლის სარჩოსაბადებელი, ჭამე, სვი და ლადად გაატარე შენი ცხოვრებაო. უთხრა მას უფალმა: „უგუნურო, ამას დამესა მიგიდონ სული შენი შენგან; უგე, რომელ მოიმზადე, ვისა იყოს?“ (ლკ.12, 20).

იგავში მოხსენიებული უგუნური მდიდარი გლეხისა და იმ ადამიანების ფსიქიკა, ვინც ერთი ხელის მოსმით მდიდრდება, იმგვარადაა მოწყობილი, რომ ისინი განერიდებიან თავის უახლოეს ნათესავებს და მეგობრებს, რკინის გისოსებს ავლებენ თავიანთ სასახლეებს და უდრტვინველად, უდარდელად სურთ გაატარონ ცხოვრება. ღმერთი იგავით აფრთხილებს უგუნურ მდიდარ გლეხს და ყველა მისნაირ ადამიანს, რომ მათ არ უნდა ჰქონდეთ თავიანთი სიმ-

დიდრის იმედი, მათ ვერ დაიცავს სიმდიდრე, რადგან შეიძლება იმავე დამით სული ამოხადონ მას და მაშინ ვეღარ უშველის მათ ეს სიმდიდრე. უფლის თვალში ეს ადამიანები უგუნურები არიან. მათი უგუნურება ისაა, რომ ისინი უფრო ზრუნავენ არა საკუთარი სული სრულყოფისათვის, არამედ ხორციელი მოთხოვნილებების და ვნებების დაკმაყოფილებისათვის. ყოველი ადამიანი უნდა იკრებდეს სულიერ საუნჯეს, რომელიც წარუვალია, მატერიალური კი წარმავალია და თან არ გაჰყება ადამიანს ცათა სასუფეველში.

„ნუ იუნჯებთ თქვენ საუნჯეთა ქუეყანასა ზედა, სადა მდილმან და მჭამელმან განრუუნის და სადა მპარავთა დასთხრიან და განიპარიან. ხოლო თქვენ იუნჯებდით საუნჯეთა ცათა შინა, სადა არცა მდილმან, არცა მჭამელმან განრუუნის, და სადა არცა მპარავთა დასთხრიან და განიპარიან“ (მთ.6.19-20); რადგან თქვენი გული ყოველთვის იქ იქნება, სადაც თქვენი საუნჯე იქნება. ეს სიტყვები უგუნურთა საყურადღებოდაა ნათქვამი, რომლებიც, როგორც ვთქვით, საკუთარი ხორცისათვის უფრო ზრუნავენ და არა სულისათვის. ასევე მოსდის მას, ვინც მხოლოდ თავისთვის იუნჯებს. ის მდიდრდება, მაგრამ სამწუხაროდ, არ მდიდრდება ღმერთით (ლკ.12.21). ის, ვინც, ღმერთით მდიდრდება, გულმოწყალეა, ეწევა ქველ საქმეს, თანაუგრძნობს უმწეოს და უძლურს, უპოვარს, გაჭირვებაში მყოფს, ქვრივობდებს. გაცემულ წყალობას მშვიდობა შემოაქვს ადამიანში; ეს ის დვთიური მადლია, რომელსაც ეძიებს ჭეშმარიტი ქრისტიანი. ეს ადამიანები მდიდრები არიან ადამიანები, მდიდრები არიან ღმერთით. ეგოისტი, კეთილმოქმედებით, ხარბი ადამიანები მონები არიან მამონასი, ისინი ემონებიან ფულ და არ არიან მდიდრები ღმერთით.

ისევე, როგორც დვთისმოშიშება საწყისია სიბრძნისა, ცოდვად დაცემა და განშორება უფლისაგან შედეგია უგუნურებისა. შესაბამისად, უგუნური ადამიანი დვთისაგან განდგომილია. სიბრძნე – დვთიური მადლია, რომელიც ადამიანს ამოქმედებს და აცხოვრებს საღმრთო კანონებით. უდმერთოდ ცხოვრება უგუნურებაა და იგი შობს ცოდვას. სიბრძნესა და უგუნურებას შორის ისეთივე წინააღმდეგობაა, როგორიც მორწმუნე ადამიანის მიერ დვთისმობას

სა და ურწმუნო ადამიანის დვთის გმობას შორის, ერთიც და მეორეც განაპირობებს აზროვნებისა და განსჯის უნარს: ბრძენი ყველა საქმეს ბრძნულად განსჯის, უგუნური კი დაზღვეული არ არის მცდარი ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღებისაგან. ჩვენმა განუკითხავმა დროებამ ადამიანთა უმრავლესობას განსჯის სურვილიც კი წართვა და ისინი არსებული მოვლენებისადმი ინდიფერენტული გახდნენ.

სად გადის ზღვარი სიბრძნესა და უგუნურებას შორის, ქონებასა და უქონელობას შორის, დვთისმოსაობასა და დვთის გმობას შორის და რას უნდა ველოდეთ ინტერნეტის ბურუსში გახვეული სამყაროსაგან, მასში საკუთარი თავისუფალი ნებით ჩართული, ეშმაკს მონად ქცეული ადამიანებისაგან?

სად გადის ზღვარი სიბრძნესა და უგუნურებას შორის, ქონებასა და უქონელობას შორის, დვთისმოსაობასა და უდმერთობას შორის. ეს კითხები პასუხის გაცემას ითხოვს. რამდენ ხანს გაგრძელდება სულიერი კრიზისი, რომელიც ამჟამად სუფეს მსოფლიოში? უფრო გაღრმავდება ეს ყოველივე თუ ბოლოსდაბოლოს გონს მოეგებიან ამ კრიზისის წარმმართველნი და მსოფლიოს უბიძგებენ იქითკენ, რომ დაიწყოს მაღალი ტექნოლოგიების ხანაში მცხოვრებისაზოგადოების სულიერი განვითარება, არ შეფერხდეს. შესაძლებელია თუ არა გლობალიზაციის პროცესებოს მართვა ისე, რომ ადამიანის განვიტარების ვექტორი სულიერებისაკენ გადაიხარო? შეძლებენ დაძლიობ სიღარიბის პრობლემა განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის ჩვენს სამშობლოში? ჯერჯერობით ამას სასიკეთო პირი არ უჩანს და ხელოვნურად გაღვივებული ეპიდემიებით თუ კომფლიქტებით, იქნება ეს რელიგიური თუ ეთნიკური, რომლის პროცეციებასაც ეწევიან გლობალიზაციის ავტორები, საზოგადოების გამოკვება ხანგრძლივი დროის პერსპექტივით შეუძლებელი იქნება. ამასობაში კი მდიდრდებიან ერთეულები, რომლებიც ლუკას სახარებაში აღწერილი მდიდარი გლეხის მსოფლმხედველობით იქმნიან რა მიწიერ კერპებს, უფროდაუფრო შორდებიან უფალს და ამბობენ გულსა შინა თვისსა: „სულო, გაქუს მრავალი კეთილი დაუნჯებული მრავალთა წელთაი, ჭამე და სვი და იხარებდ!“

WMINDA NINOS ORI GAMOSAXULEBA QARTUL XATWERASA DA KEDLIS MXATVROBASI

Шуа саумукунејдис кјартојулди кјроистина-
шуди кјеловненејдис саѓарненејшо гањеса-
кјутрежедуљ и обрежаресе оїзвејс кјартојулди
гањмадна толлеједлис, виминда бињес гаѓареса-
шудеједди. Матогањ шуджелујеси, 967-976 წ. -
с. Шорис сејесрежедуљ и оშкис ტајрис
режлијејшуро ხატი, шаји გаშქидა шурнал
„мајгуллована биши“ (ა. ოქროპირიძე, „ცხოვრე-
ბა წმიდისა ნინოსი“ №2/15-2014 წ.). რო-
გორც პუბликაციაშია ნათქვამი, ურნა-
ლис მკითხველი პერიოდულად გაეცნობა
саქართველოს სამოთხის ამ უძვირფასე-
სი წარმომადგენლის ხატებს, რომლებიც
მრავლადაა შემორჩენილი სახვითი ხე-
ლოვნების სხვადასხვა დარგში: კედლის
მხატვრობაში, ხატწერაში, ხატაძრო სკულპ-
ტურაში, ლითონზე პლასტიკაში, ხელნაწ-
ერთა ილუსტრაციებსა თუ ნაქარგობაში.

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ წმი-
და ნინოს გამოსახულების ორ ნიმუშს,
რომელთაგან ერთი დაცულია საქართ-
ველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამი-
რანაშვილის სახელობის ხელოვნების
მუზეუმში, ხოლო მეორე, – გერგეთის ყოვ-
ლადწმინდა სამების ეკლესიის კანკელ-
ზეა გამოსახული.

დასაწყისში ვიტყვით, რომ მუზეუმის
ფონდში არსებული წმინდა ნინოს ხატები
ძირითადად თარიღდება XIX ს-ის (გვ-
ვდება XX ს-ის დასაწყისის რამდენიმე
ნამუშევარიც). ისინი თავის დროზე აღ-
მოსავლეთ საქართველოს ეკლესია-მონ-
ასტრებში იყვნენ დაბრძანებულნი, საიდ-
ანაც ერთი ნაწილი ქართველ საეკლესიო
და საერო მოდვაწეთა დიდი ძალის მეშვივი
ჯერ კიდევ XIX ს-ის ბოლოსა და XX
ს-ის დასაწყისში, თბილისში დაარსებულ
საეკლესიო მუზეუმში (ფუნქციონირებდა
1888-1921 წ.-ში) მოხვდა, მეორე კი – XX
საუკუნის 20-30-იანი წლებში ანტირელიგ-
იური კამპანიისგან გადარჩენის მიზნით

დააბინავეს თბილისის უნივერსიტეტის
არსებულ ძველი ქართული ხელოვნების
მუზეუმში. მოგვიანებით საქართველოში
სამუზეუმო საქმის განვითარებისა და
სახელმწიფო საცავების რეორგანიზაცი-
ის პროცესში, ქრისტიანული სიძველეების
თბილისური კოლექციები მოთავსდა სი-
მონ ჯანაშიასა და შალვა ამირანაშვილის
სახელობის მუზეუმებში.

შიომღვიმის მონასტრის წმინდა ნინოს ხატი

მუზეუმში დაცული წმინდა ნინოს
ხატების ნაწილი ხის დაფებზე შეს-
რულებული, ნაწილი – ტილოზე ტემპერის
ან ზეთის საღებავებით. სამწუხაროდ, მათ
შორის ჭარბობს დაბალი მხატვრული დო-
ნის ნაწარმოებები, რომლებიც არაპროფე-
სიონალთა, ხშირად ხელოსნების მიერა
შესრულებული.

მუზეუმში დაცულ წმინდა ნინოს ხატებს
შორის აშკარად გამორჩეულია ერთი, საკ-
მაოდ დიდი ზომის ხატი (99X55X4 სმ.),
რომელიც მაღალპროფესიულად არის
შესრულებული და ძალზე შთამბეჭდავია
იკონოგრაფიული სქემითა და მხატვრული
გადაწყვეტით. იგი მნიშვნელოვანია იმით-
აც, რომ წმინდა ნინოს ჩეგნამდე მოღწეულ
ერთ-ერთ ადრეულ ფერწერულ ხატს წარ-
მოადგენს.

ხატი შიომღვიმის მონასტრიდანაა ჩამო-
ტანილი თბილისში. იგი XIX ს-ის 40-იან
წლებში უნახავს ცნობილ რუს სახელმ-
წიფო მოხელეს, მწერალს, ისტორიკოსს,
სიძველეომცოდნესა და კოლექციონერ ან-
დრია მურავიოვს, მონასტრის ღვთისმშობ-
ლის მიძინების იმავე დავით აღმაშენებ-
ლის ტაძარში. მურავიოვის შეფასებით,
ეს არის წმინდანის ყველაზე ძველი ხატი
საქართველოში და იგი ბერძენი მხატ-
ვრის მიერაა დაწერილი (A. Muравьёв).

Грузия и Армения, часть I, С.П.Б., 1848, стр. 279). და მართლაც, ქართველთა განმანათლებლის ეს ხატი, როგორც სიძველით, ისე იკონოგრაფიულ-სტილური ნიშნებით, საგრძნობლად განსხვავდება წმინდანის ყველა გამოსახულებისგან, რაც კი შემორჩა ქრისტიანული სიწმინდეების ისტორიულ საგანძურში. თუმცა, ხატის ბერძნული წარმომავლობის შესახებ ანდრია მურავიოვის აზრი არაფრითად დასაბუთებული.

შიომღვიმის მონასტრის ხატის დაფა მასიურია, გრუნტი – სქელი. მხატვრობისთვის გამოყენებულია ტემპერის სადებავები. წმინდანის გამოსახულება წარმოდგენილია ფრონტალურად, მთელი ტანით. მას განზებანული მარჯვენა ხელით ზეცისკენ აქვს აღმართული წაგრძელებული, მოყვაისფრო, რვაბოლოიანი ჯვარი, ხოლო მკერდთან მიტანილი მარცხენით უკურია წითელი ზონრით შეკრული თეთრი გრაგნილი.

რვაბოლოიანი ჯვარი ნიშანია გოლგოთაზე აღსრულებული სასწაულისა – იესო ქრისტეს მაცხოვნებელი მსხვერპლის, „სიკვდილითა სიკვდილისა დათრგუნვის“, ადგომის, ამაღლებისა და მეორედ მოსვლის; გრაგნილი კი სიმბოლო სამოციქულო მისიის – კაბადოკიელი ქალწულის მიერ დვთისმშობლის წილებვრომილი ქვეყნის მოქცევის, საქართველოს ეკლესიის დაფუძნებისა და ქართველი ერის უფალთან შესახვედრად მომზადების.

საღვთო მისიის აღმასრულებელი ქალწული ხატზე წარმოდგენილია ხაზგასმული დიდებულებით – ძალზე შთამბეჭდავი, რეპრეზანტაციული და მონუმენტური პოზით. მსგავსი იკონოგრაფიული სქემა დამახასიათებელია დვთისმშობლის იმ გამოსახულებებისთვის, რომლებიც დიდი პატივითა და თაყვანისცემით სარგე-



წმიდა ნინოს ხატი შიომღვიმეს მონასტრიდან XVII-XVIII ს.ს.

ბლობდნენ ადრექრისტიანულ ხანაში, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქრისტიანუში და რომლებიც ცნობილია როგორც ბიზანტიური წერილობითი წყაროებით, ისე – ადრეული პერიოდის სახვითი ხელოვნების ნიმუშებითა და მათი გვიანი რეპლიკებით (მაგ. VIII ს-ის დვთისმშობლი-ორანტას მოზაიკური გამოსახულება რომის წმიდა პეტრეს ძველი ტაძრის კედელზე, რომელიც XVII ს-ში მოიხსნა და ცალკე ხატად იქნა გადატანილი ფლორენციის წმიდა მარკოზის ტაძარში; კონსტანტინოპოლის ვლაქერნის ტაძარში, რომლის XI-XII ს-ის რეპლიკების ნახვა შესაძლებელია ვენეციის წმიდა მარკოზისა და რავენის პორტოს ეკლესიებში; მსგავსი დიდებულების ხატია ვლაქერნისავე ტაძარში არსებული კონსტანტინოპოლის მცენელი დვთისმშობლის X ს-ის გამოსახულება და მისი პირები მომდევნო ხანის ბიზანტიურ ხელნაწერებსა და პოსტიზანტიურ ხატწერაში; ასევე მონუმენტური პოზისაა დვთისმშობლი-პანაგიას გამოსახულებები XII ს-ის კედლის მხატვრობაში, ხატებზე, ქვის რელიეფებზე და ა.შ.). ამ იკონოგრაფიით, დედა დვთისა წარმოგვიდგება, როგორც საყველთაო მფარველი, მეოხი და მწყალობელი, რომლის მოსახვამის ფარ-

ოდ, კარვისებურად გაშლილი კალთა საფარველს წარმოადგენს მისდამი შევრდომილი ყოველი ადამიანისთვის.

ცხადია, ქართულ ხატზე წმინდა ნინოს ამგვარი იკონოგრაფიით ჩვენება არაა შემთხვევითი. ხატწერის ეს მანერა ნათელს ხდის წმიდა ნინოს გამორჩეულობას, კერძოდ კი იმას, რომ წმიდა ნინო იყო დვთისმშობლის საკუთარი მოწაფე (როგორც ეს სადღესასწაულოშია ნათქვამი) და რომ იგი ქართველებისთვის ისეთივე ახლობელი, მეოხი და მფარველია, როგორც დედა დვთისმშობელი. აქ უნდა გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს სალოცავში, მცხეთის

სვეტიცხოვლის სახაზირო (“სახაზირო”) გერგეთის სამების ტაძარში XIV ს-ის კანკელზე მაცხოვრის თავს ზემოთ მოთავსებულ წმინდა ნინოს გამოსახულებას, თან ახლავს წარწერა, რომელშიც იგი ქართლის დედადაა მოხსენიებული – „წმიდა ნინო დედა ქართლისად“.

შიომღვიმის ხატის ფერადოვანი გამა მაჟორულია. მასში შეხამებულია ოქრო, წითელი, მწვანე და თეთრი ფერები. კოლორიტს ამდიდრებს წმინდანის შარავან-



წმიდა ნინოს გამოსახულება გერგეთის ტაძრის კანკელზე – XVIII ს.

დედთან განაწილებული წითელი ფერის წაგრძელებული და ბოლოებწაწვეტებული არეები (კარტუშები), რომლებზეც ლამაზი კალიგრაფიითაა შესრულებული ასომთავრული წარწერა – წ(მიდა)ნინო მოც(ი)ქული (?!) – სხვა შემთხვევებში იგი მოციქულთასწორად, ან ქართველთა განმანათლებლადაა მოხსენიებული).

სადღესასწაულო იერს სძენს ამ გამოსახულებას ორნაწილიანი ფონიც, რომლის ზედა მონაკვეთზე, ფურცლოვანი ოქრო იყო დატანილი (ამჟამად იგი თითქმის მთლიანადაა გადახეხილი), ხოლო ქვედა – მწვანე საღებავითაა დაფერილი. ოქრო ვრცელი და უსასრულო, უქრობი ნათლით გაბრწყინებული ზეციური სასუფეველის შესატყვისია, მწვანე კი სიმბოლოა სული-წმინდით განვმრთობისა და უკვდავებისა.

საზეიმოა შიომღვიმის ხატზე წმინდანის სამოსელიც – წითელი კაბა, ვარდის-

ფერსარჩულიანი მწვანე მოსასხამი, თეთრი მანდილი და წითელი წაღები. ამგვარ ჩაცმულობას მეტ ბრწყინვალებას მატებს „ოქროქსოვილის“ სარტყელი, გულისპირი, სამაჯეები და ქობა, რომლებიც შემკულია ფერად-ფერადი მსხვილი ქვებითა და მარგალიტის წვრილი მძივებით. ოქროქსოვილითაა მოოჭვილი მოსასხამის კალთებიც.

წმინდანის სახის ნაკვთები, ბაგეების გარდა, მცირე ზომისაა. იგი ხაზგასმულად მსხვილია და წითელი. სახე ნაწერია მუქ, ყავისფერ ფუძეფერზე, რომელიც ოვალის შემოყოლებაზე, თვალის უპეებში და პირს ქვემოთ, „ჩრდილადა“ დატოვებული. „განათებული“ აღგილები კი დია ვარდისფერ-ხორცისფერია და მუქ ფონზე კონტრასტულად, ნიდაბივითაა დატანილი. მკვეთრია დაწვების ყირმიზი, რომლის შეფერილობას იმეორებს თეთრი მანდილის ქვეშ მოხვეული წითელი ქსოვილის ვიწრო ზოლიც.

კომპოზიციის სიმწყობრე, წმინდანის შთამბეჭდავი, წარმომადგენლობითი პოზა, სერიოზული, ოდნავ სევდიანი გამომეტყველება, სადედოფლო ჩაცმულობა, ხელის მტევნების განსაკუთრებული სინატიფე, საზეიმო კოლორიტთან და გამოსახულების მონუმენტურ-რეპრეზენტაციულ ხასიათთან ერთად, განსაკუთრებულად დასამახსოვრებელს ხდის წმინდა ნინოს ამ გამოსახულებას.



მაცხოვრის გამოსახულება „ვედრების“ სცენიდან.

ყურადღებას იქცევს ხატის შესრულების ტექნიკური მხარე და წერის მანერაც. მისი ლეგკასი (გრუნტი) უხეულოდ სქელი, მკვრივი და ღრმად დამსკდარიც კია, რითაც იქმნება შეღესილი კედლის ასოციაცია. მასზე ჩანს წინასწარ ნაკაწრი ნახატი („გრაფია“), რასაც ზემოდან ოსტატურად გავლებული კონტურები დაუყვება. გამართული, კონსტრუქციული ნახატი, დახვეწილი პროპორციები, მოხდენილი დგომა, რბილად, მაგრამ ფაქტურით

მოდელირებული ქსოვილები, ხშირი ნაკეცების დენადი ხაზები, კარგად შერჩეული ორნამენტული სამკაული და ოსტატურად შესრულებული წარწერები მოწმობს, რომ ხატი განსწავლული ხატმწერის მიერაა დაწერილი.

საგულისხმოა, რომ ხატმწერის ხელწერაში იკვეთება ხატწერისთვის არატრადიციული, ახალი, საერო მხატვრობისთვის დამახასიათებელი ელემენტებიც, რაც ძირითადად წმინდანის სახეზეა გამოვლენილი: შავი, სწორად გავლებული წარბების ქვემოდან, წაგრძელებული ჭრილის თვალების მზერა და მუქი წითელი, მსხვილი ბაგების შედარებით “მატერიალისტური” გადმოცემა აახლოებს წმინდანის სახეს XVII ს-ის მეორე ნახევრიდან მართლმადიდებლურ ხატწერაში თავჩენილ, საერო მხატვრობისთვის დამახასიათებელ სტილის ნიშნებთან, რაც რუსეთში ჯერ სიმორ უშაკოვისა და მისი სკოლის ნამუშევრებში წარმოჩნდება, ხოლო უფრო მკაფიო ხდება პეტრე დიდის რეფორმების ანუ რუსეთის “ევროპიზაციის” პერიოდიდან.

შიომღვიმის წმინდა ნინოს ხატზეც მსუბუქად, მაგრამ მაინც ვლინდება პორტრეტული ხელოვნების ერთგვარი გავლენა, თუმცა მასში ძირითადად შენარჩუნებულია ხატწერის ხელოვნებისთვის აუცილებელი მახასიათებლები – განზოგადებულობა და პირობითობა.

ქართულ ხატწერაში წმინდანთა სახისა და ხელების კონტრასტული მოდელირება მუქ ყავისფერ ფუძეებზე დამახასიათებელია XVII ს-სთვისაც, მაგრამ იმ დროს „შუქჩრდილის“ ლაქები გაცილებით სიბრტყობრივია, ხოლო ნახატი უფრო ხისტი და მშრალია. ამის ნათელი მაგალითია შიომღვიმის მონასტრისავე „ათორმეტ დღესასწაულთა“ რიგის ხატები, რომელთაგან მხოლოდ ოთხი – „მირქმა“, „ბზობა“ „ამაღლება“ და „სულთმოფენობა“ შემორჩია (ამჟამად ისინიც ხელოვნების მუზეუმში ინახება).

როგორც ცნობილია, ერთ-ერთი ასურელი მამის, წმინდა შიოს მიერ VI ს-ში დაარსებული შიომღვიმის მონასტრი მრავალი საუკუნის განმავლობაში ქრისტიანული კულტურის წამყვან ცენტრს წარმოადგენდა და თავიდანვე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქებისა და

მეფეების ზრუნვის ობიექტი იყო, ხოლო დავით აღმაშენებელის დროს შიომღვიმის მონასტერი სამეფო სავანედ იქცა. წმ. მეფე თამარიც ამ წმინდა ადგილს დიდად შეეწეოდა. XIII-XV სს-ში, მონღოლთა შემოსევების პერიოდში, მონასტერს ძალიან გასჭირვებია და ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში მისი როლი შესუსტებულია. XVII-XVIII სს-ში, ამილახვართა საგვარეულოს მფარველობის პერიოდში, მონასტერს უკეთესი დრო დასდგომია. ამილახვრებს სპარსთა და ლეკა მიერ არაერთგზის დარბეული მამათა სავანე განუახლებიათ, რასაც “წიგნთა კეთილთა და პატიოსან ხატთა” შეწირვაც მოჰყოლია.

ნათქვამიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ მონასტრისთვის საუფლო დღესასწაულთა ციკლის ხატების შექმნა და შეწირვა დაკავშირებულია თავად გივი ამილახვრის მიერ 1678 წელს სპარსთაგან იავარქმნილი დვოთისმშობლის მიძინების ტაძრის აღდგენასთან.

გვიან შეა საუკუნეებში მონასტრისთვის შეწირული წმინდა ნინოსა და დღესასწაულთა ხატების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ წმინდანის გამოსახულება დღესასწაულთა ციკლზე გვიან, XVII-XVIII სს-ის მიჯნაზე ან XVIII ს-ის დასაწყისში შექმნილა.

ღმინდა ნინოს გამოსახულება გერგეთის სამების ფამარში

გერგეთის სამების ტაძარში წმინდა ნინოს გამოსახულება შესრულებულია ქვის კანკელზე ნახევარი ტანით; მოციქულთასწორს მკერდთან მიტანილი მარცხენა ხელით უპყრია ჯვარი, მარჯვენა კი, ნიშნად წყალობისა და შეწევნისა – ხელის გულით მაყურებლისკენ აქვს მიპყრობილი. წმინდანი შარავანდმოსილია; აცვია მოცისფრო სტოლა (კაბა) და ძოწისფერი მაფორიუმი (მოსასხამი), რომლის ქვეშ მოუჩანს ცისფერი ხილაბანდი.

მისი გამოსახულება, ოშეის მსგავსად, აქაც უფლისადმი დედა დვოთისმშობლისა და წმინდა იოანე ნათლისმცემლის გედრების სცენის ზემოთაა მოთავსებული; საკუთრივ “ვედრება” კი კანკელის ჩრდილოეთ მხარეს, ზედა ნაწილის საკმაოდ ღრმა ნიშაში ისეა ჩაწერილი, რომ მაცხოვარი და წმინდა ნინო კარგად ჩანახ, ხოლო ნიშის გვერდითა კედლებზე მო-

თავსებული დეფოსმშობლისა და წმ. იოანეს გამოსახულებების დანახვა ჭირს. ეს კი, საეკლესიო იერარქიისა და ქრისტიანული ხელოვნების კანონიერი გათვალისწინებით, იმაზე მეტყველებს, რომ: 1. “დედა ქართლისაა”, როგორც ქართველთანამდათლებელი, უდიდესი პატივით სარგებლობდა სრულიად საქართველოში და 2. გერგეთში მომუშავე მხატვრისთვის კარგად იყო ცნობილი ოშეის ტაძრის რვაწახნაგა ბურჯის რელიეფური დეკორის იკონოგრაფიული სქემა და საზრისი. აქაც ისევე, როგორც ოშეი, ქართველთა განმანათლებელი ქალწული, სამოციქულო მისის – ერის ქრისტეს რჯულზე მოქცევისა და რწმენით ქვეყნის გაერთიანების სიმბოლოდაა წარმოდგენილი; სიმბოლოდ, რომელსაც თანაბრად სცემდნენ თავუანს ქვეყნის ოთხივე კუთხის ბარშიცა და მთაშიც (გავიხსენოთ გამოსახულების თანმხლები წარწერაც, სადაც წმიდა ნინო ქართლის დედადაა წოდებული).

წმინდა ნინოს გამოსახვის მიზეზი საქართველოს საზღვრისპირა, ხევად წოდებული რეგიონის ყველაზე დიდ და ადგილმდებარეობით გამორჩეულ ტაძარში არის ის, რომ გერგეთის ტაძარი აშენდა გიორგი ბრწყინვალეს მეფობის დროს (1318-1346 წწ), როგორც სწორედ მცხეთის საკათალიკოსო ტაძრის მეტოქი. ამ პერიოდის წერილობით წყაროებში იგი სვეტიცხოვლის ტაძრადაა წოდებული და უფრო მეტიც: ჩანს, რომ მასში წმინდა ნინოს ჯვარიც კი იყო დაბრძანებული (როგორც ჩანს, დროებით).

აქვე უნდა ითქვას, რომ გერგეთის ტაძრის დღევანდელი კანკელი სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად დათარიღებულია გვიანი შუასაუკუნეებით. რ. შემერლინგისა და თ. სანიკიძის ნაშრომებში ყურადღება გამახვილებულია მის უჩვეულო ფორმაზე და აღნიშნულია, რომ მასზე მხატვრობის მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი (Р.Шмерлинг. Малые формы в архитектуре средневековой Грузии. Тб 1971, გვ. 209-210; თ. სანიკიძე. გერგეთი. თბ. 1975) საბედნიეროდ, 2005-2006 წლებში, ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოების დროს, კანკელზე გარკვევით გამოჩნდა ფრესკული კომპოზიციები – “ვედრება” წმინდა ნინოს ხატით და მისგან სტილით მკვეთრად განსხვავებული ის გამოსახულებე-

ბი, რომლებიც აღსავლის კარის თავზე და სამხრეთ ნიშაშია მოთავსებული.

ტაძრის კანკელის კონსტრუქციაში სრულიად უჩვეულოა მისი ზედა ნაწილი, რომელსაც თავის მხრივ სამწილადი ფორმა აქვს და ბოლოვდება აკროტერიუმის ტიპის სამი მცირე ქვის ეკლესიით (ჩრდილოეთისა და ცენტრის “ეკლესიები” ძველია, სამხრეთისა – სავარაუდოდ XX ს-შია განახლებული). გვერდით ნაწილებში მოწყობილია დრმა სახატე ნიშები, შუა კი გლუვია და სქლადაა დაგრუნტული. გვერდითა ნიშებში ჩახატულია “ვედრება” მარცხნივ და “ფერისცვალება” მარჯვნივ, ხოლო შუა, ლურჯად დაფერილ კედელზე წრეში ჩაწერილი “სამება-თანამესაყდრეობაა” წარმოდგენილი ანგელოზების გარემოციით.


ცხადია, ყოვლადწმინდა სამების გამოსახვით ხაზგასმულია ტაძრის კუთვნილება და წოდება, ხოლო “ფერისცვალებით” – თაბორის წმინდა მთაზე აღსრულებული ის უდიდესი სასწაული, რომლის დროსაც იესო ქრისტე რჩეული მოციქულების წინაშე წარსდგა, როგორც მამაზეციერის ხატი (ამიტომაც ეკლესიის მამათა მიერ ფერისცვალების დღესასწაული ხატის დღესასწაულადაა გამოცხადებული).

საგულისხმოა, რომ 1. – სინას წმინდა მთის ეკატერინეს მონასტრის მთავარი ტაძარიც ფერისცვალების სახელობისაა და იქაც საკურთხევლის კონქში ამ დღესასწაულის VI ს-ის გამოსახულებაა მოთავსებული. 2. – გერგეტის სალოცავიც, სინას ტაძრის მსგავსად, მთაზეა აღმართული, იმ მთაზე, რომლის ძირში თავად წმინდა ანდრია მოციქულმა აღმართა ჯვარი; დაახლოებით 4000 მ-ის სიმაღლეზე შემორჩენილია XI-XII სს-ის ნამონასტრალი, ხოლო ბეთლემად წოდებულ უძველეს გამოქვაბულ-ეკლესიაში ინახებოდა მამამთავარ აბრაამის კარვისა და მაცხოვრის აკვნის წმინდა ნაწილები. ამ მხრივ საინტერესოა, რომ მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს მონასტრის ტაძარიც ფერისცვალების სახელზეა ნაკურთხი და მის კანკელშიც მოთავსებულია ფერისცვალებისა და წმინდანთა ხატები. უნდა აღინიშნოს, რომ ფერისცვალების სახელზე ნაკურთხი ტაძრები დაზიანების სახელსაც ატარებდნენ და ამის მაგალითებს წარმოადგენენ სამთავროსა და თელავის ტაძრები.

ცხადია, რომ გერგეთის სამების ტაძ-
რის კანკელის უჩვეულო ფორმის საიდუმ-
ლოს ახსნისთვის, აუცილებელია მისი
მხატვრობის პროგრამის ანალიზი. ამი-
ტომაც, ეს თემა უკვე გახდა საგანგებო
შესწავლის საგანი. ასმათ ოქროპირიძის
ვარაუდით, კანკელიცა და მხატვრობის ის
ნაწილიც, სადაც ვედრება და წმინდა ნი-
ნოა გამოსახული, შეიძლება დათარიღდეს
XIV ს-ით (ა. ოქროპირიძე. გერგეტის
სამების სახისმეტყველებისთვის. “ლოგო-
სი”, № 7, 2013, გვ. 107-113).

წერილობითი წყაროების მოწმობით,
თაბორის მთაზე, იმ ადგილას, სადაც აღ-
სრულდა უფლის ფერისცვალების სას-
წაული, ადრექტისტიანულ ხანაშივე სამი
ეკლესია იყო აღმართული. ისინი იმ სამ
კარავს ესადაგებოდა, რომელთა დაღგმაც
სასწაულით აღტაცებულმა პეტრე მოცი-
ქულმა შესთავაზა უფალს (მათე, 17: 4;
მარკოზი, 9: 5; ლუკა 9: 33). როგორც ცხო-
ბილია, თაბორზე ძველი ტაძრები არ არის
შემორჩენილი – დღეს იქ მოქმედებს XIX
ს-ის მართლმადიდებლური (ბერძნული)
ტაძარი. აქეთა კათოლიკური შესაკრე-
ბელიც მართლმადიდებელთა სალოცა-
ვის სიახლოვეს ამჟამად აღმართულია
სამკუთხა ფორმის სამი ქვა, რომლებზეც
გამოსახულია “ფერისცვალების” კომ-
პოზიციის ნაწილები: ცენტრალურზე –
მაცხოვარი და მოციქულები, მარცხენაზე
– ელია წინასწარმეტყველი, ხოლო მარ-
ჯვენაზე – მოსე წინასწარმეტყველი.

ამრიგად, გერგეთის სიონის კანკელის ფორმა სწორედ ამ სამი ეკლესისა და “კარვის” შთაგონებითა შექმნილი. რაც შეეხება მასზე წარმოდგენილი “ვედრებისა” და წმინდა ნინოს გამოსახულებებს, აქ, ერთი მხრივ, საგრძნობია XIV-XV სა-ის სტილის გარკვეული ნიშნები (სახეობა მოდელირებაში ღია ფერადოვნება, მწვანე სარჩულები, გარდისფერი “განათებები” და შუქ-ჩრდილის ლაქების ერთმანეთში რბილი გადასვლები), მეორე მხრივ კი – შედარებით მეტი ანალოგი იძებნება XVI-XVII სს-ის ქართული კედლის მხ-ატვრობის იმ ნიმუშთა შორის, რომელ-ბიც ცნობილია “ხალხური ნაკადის” ძე-გლობა ჯგუფის სახელწოდებით (მათთან



ამაღლების ხატი შიომღვიმეს
მონასტრიდან – XVII ს.

სიახლოებები მუდავნდება წმინდანთა სახის
ნაკვთების ფორმით, სხეულის პროპორ-
ციებით, წერის მანერის სიმარტივით, ხაზ-
გასმული სიბრტყოვანებითა და, რაც გან-
საკუთრებით სახასიათოა, ორნამენტული
დეკორის მოტივებით).

დასასრულ, აღსანიშნავია, რომ მომავალი კვლევის შედეგად რა დროითაც არ უნდა დათარიღდეს გმრგვის ტაძრის მხატვრობის ეს ნაწილი, მასში ჩართული წმინდა ნინოს გამოსახულება ისევე, როგორც შიომძვიმის მონასტრის კუთვნილი ზემოთგანხილული ხატი, თავისი ისტორიული, იკონოგრაფიული და მხატვრული დირქებულებით მაინც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იქნება. ისინი იმითაც იქცევენ ყურადღებას, რომ არც ერთ მათგანზე მოციქულთასწორის ჯვარი არაა მკლავებდახრილი. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მუხეუმში მყოფ XVIII-XIX სს-ის ყველა ფერწერულ ხატზე წმინდანის ჯვარი ასევე სწორმკლავაა და XIX ს-ის კედლის მხატვრობის ძეგლებშიც (სამთავროს, ბოდბის კლესიების მოხატულობები და სხვ.) არ გვხვდება დახრილმკლავებიანი ჯვარი.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნანა ბურჯულებე

ARQIMANDRITI TADEOZ VITOVNELI

„SULIERI BRZOLA~

არქიმანდრიტი თადეოზ ვიტოვნელი (ერობაში – ტომისლავ შტრებულოვიჩი) XX ს-ის სერბეთის უდიდესი მამა და ცნობილი სულიერი წინამდვარი იყო. 1932 წელს მამა თადეოზი მიღკოვოს მონასტერში დამკვიდრდა. ამ პერიოდში მონასტრის წინამდვარი იყო სექტ-არქიმანდრიტი ამბროსი (კურგანოვი), რომელიც ოპტის სკიტის წინამდვარი იყო 1912-20 წლებში. მამა თადეოზმა მისგან ისწავლა გულისხმიერი ლოცვა და უაგარო სიყვარული, რითაც აღბეჭდილია მთელი მისი მსახურება ტანჯული სერბი ხალხისადმი.

არქიმანდრიტი თადეოზი 1914 წელს დაიბადა. მას ცხოვრება და მოდვაწეობა მოუხდა რთულ ეპოქაში. მამა თადეოზმა სერბ ხალხთან ერთად გამოიარა ორი მსოფლიო ომი, სამოქალაქო ომი, 50 წლიანი კომუნისტური რეჟიმი, ომი ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში – იუგოსლავის ტრაგიული დაშლა, ნატოს შეიარაღებული ძალების თავდასხმა სერბეთზე 1999 წელს, კოსოვოს დაპყრობა და უწყვეტი მსოფლიო გლობალიზაციის პროცესი. ასეთ რთულ პერიოდში, არქიმანდრიტ თადეოზს არ დაუკარგავს რწმენა დათისა. იგი საეკლესიო საიდუმლოებებითა და გულისხმიერი ლოცვით ცდილობდა მიეღწია სიმშვიდისათვის, უფალთან ერთობისათვის. მამა თადეოზი ასწავლიდა, ანუგეშებდა და ლოცვადა უკელას, ვინც კი მასთან ტანჯულითა და მწუხარებით დამძიმებული მივიღოდა.

მიღკოვოს მონასტერში ყოფნისას იგი დირსი გახდა წმიდა იოანესთან (მაქსიმოვიჩი) – შანხაისა და სან-ფრანცისკოს ეპისკოპოსთან შეხვედრისა.

მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტებმა ორჯერ დააკავეს მამა თადეოზი, ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ, 1943 წელს, მან კოოლოგას მონასტერში აღავლინა და მონასტერში გადასახურება, წმიდა ნიკოლოზ (ველიმოვიჩი) ორხიდისა და ზინის ეპოსკოპოსთან ერთად. 1998 წელს მან ბელგრადში წარმოოქმნა ქადაგება – „წინანული არის ცხოვრების შეცვლა“; ეს პომილია არაერთხელ გადაიცა სატელევიზიო არხებით და მთელ სერბეთში გახდა ცნობილი. მან წმიდა მამათა ცხოვრების ამსახველი, რამდენიმე ტექსტი თარგმნა რუსულიდან სერბულ ენაზე, მათ შორის – წმიდა ისააკ ასურის პომილიები.

2003 წლის 13 აპრილს სხეულებისგან გატანჯულმა მამა თადეოზმა ვიტოვიის მონასტერში სული უფალს შეავედრა. მისი დაკრძალვის დღეს სხვადასხვა ჯიშის ჩიტების მთელი გუნდი მოფრინდა გამოსამშვიდობებლად. მამა თადეოზს ჩიტები ძალიან უყვარდა, წვერზე დაყრილი პურის ნამცეცებითაც კი აპურებდა მათ და ყოველთვის დიდი სინაზით საუბრობდა მათზე „...ჩვენგან განსხვავებით, ისინი მადლიერნი არიან დათისაო. ჩიტები, ყოველთვის მხიარულნი, ჭიკვიკით განადიდებენ უფალს და ჩვენც გვმართებს, ჩიტების მაგალითს მივბაძოთ...“

მღვდელმონოზონი ადრიანი

1. განუწყვეტლივ იცვლება ყველაფერი; არაფერი რჩება უცვლელი. ჩვენ სრულყოფილებას ვაღწევთ ან სიკეთეში, ან ბოროტებაში.

2. დღემდე წინააღმდეგობებითა და დაპირისპირებით სავსე ცხოვრების გზას მივუყვებით და ადვილი არ არის ვისწავლოთ, თუ როგორ ვიცხოვოთ ზეციური ცხოვრებით. თუ წინააღმდეგობების დაძლევას არ ვისწავლით, ცათა სასუფეველში ვერ შევალთ, სადაც ზეციური ძალი და წმინდანები მკვიდრობენ.

ცხოვრებაში ყოველთვის არის რაღაც, რაც ეწინააღმდეგება ჩვენს ნება-სურვილს. ამდენად, ადამიანმა შეიძინა ჩვევა, შეეწინააღმდეგოს ვინმეს ან რაიმეს. თუ ყოველთვის საკუთარი სურვილების ასრულება გვინდა, მაშ, ჯერ კიდევ არ გვისწავლია დათის ნებისადმი მორჩილება და ამიტომაც ჩვენი ადგილი დათის სასუფეველში ვერ იქნება. თუ უფალს ყველაფერისათვის ვმადლობთ, მაშინ იმ მდგომარეობიდან, რომელშიც დათის დაშვებით აღმოგნდით, მეტ სარგებელს მივიღებთ და თავმდაბლობას ვისწავლით.

აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ამ ცხოვრებაში ყოველი საქმე დვთისგან მოგვეცა და დვთის სადიდებლად უნდა აღვასრულოთ კიდეც; თუკი ჩვენ მორწმუნები, დვთისმოსავნი და დვთისმოშიშნი ვართ, მაშინ გულისხმავოთ და უფლის ნება უნდა შევასრულოთ.

3. ბოროტი სულები ცდილობენ, კეთილი საქმების კეთებაში ხელი შეგვიშალონ, რათა არ ვცხონდეთ. ვაი რომ, გულგრილები ვართ და საკუთარ თავს ხშირად ვეუბნებით:

“ჯერ არ შემიცოდავს; როცა შევცოდავ, მერე მოვინანიებ; უფალო, სწორ გზას დავადგები და არ გადავუხვევ არც მარჯვნივ და არც მარცხნივ“. ბოროტ სულს სწორედ ეს სურს, რომ ჩვენი ცხოვნება გადავდოთ ხვალისთვის, ზეგისთვის და ასე შემდეგ, სიცოცხლის ბოლომდე. მაგრამ წმიდა მამები გვაფრთხილებენ: „იარე უფალთან ერთად, დღესვე მიდი უფალთან, მიჰყევი მას!“


4. ღმერთმა ინებოს და ჩვენ, სერბებს და მთელ მსოფლიოს სულიერი ძალა მოგვცეს, რათა შევიცვალოთ – ფერი ვიცვალოთ. ჩვენ ვიცით, რომ დრო სწრაფად გადის და ბოროტმა სულებმაც იციან ეს. მათ არ უნდათ, რომ ადამიანი ბოროტი ფიქრებისაგან გათავისუფლდეს; ამ მიზნით, პატარა ბავშვებსაც კი ასწავლიან საკუთარი მშობლების წინააღმდეგობას და, როცა ეს ბავშვები გაიზრდებიან, ისინი ადვილად გახდებიან მათი მსხვერპლი. ცხადად ჩანს, რასაც ბოროტი სული ახალგაზრდობას უკეთებს: ისინი შეურაცხებულენ მშობლებს, უფროსებს და მათ არა აქვთ სიმშვიდე. ყველაფერი კარგად იქნება, როცა თითოეული ჩვენთაგანი საკუთარი თავიდან დაიწყებს გამოსწორებას. ამისათვის, გონება უნდა დავიცვათ ამაოებისაგან, რათა მისგან

გამოდიოდეს კეთილი ფიქრები და ზრახვები. თავმდაბალი ადამიანისგან სითბო და სიმშვიდე იღვრება და მასთან ყოფნა ყოველთვის სასიამოვნოა. ასეთმა ადამიანმა შეიძლება ერთი სიტყვაც არ გითხრას, მაგრამ მაინც გახარებს მის გვერდით ყოფნა. ასე რომ, თუ ყველანი გამოსწორებას საკუთარი თავიდან დავიწყებოთ, ფერისცვალება აუცილებლად მოხდება; სიკეთე გახახლდება და დამკვიდრდება ჩვენს ირგვლივ, ჩვენს ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთ.

ხშირად მომისმენია მოხუცი ადამიანების მონათხოვიბი, თუ როგორები ვიყავით სერბები 1912 წლის თავისუფლებისთვის ბრძოლამდე ყველა უხუცესს პქონდა სკვნილი და ლოცულობდა. 1912 წლიდან მდგომარეობა გაუარესდა და პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ყველაფერმა ცუდისკენ იბრუნა პირი. ვისაც პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის ცხოვრება ახსოვს, შეამჩნევდა მაშინდელ და დღევანდელ ყოფას შორის უდიდეს განსხვავებას. ჩემთვის ეს სამყარო ისე გამოიყურება, თითქოს ეს-ეს არის ამოვიდა ჯოჯოსეთიდან.

5. ადამიანი უცნური და განსაკუთრებული არსებაა. გვაინტერესებს ყველა ის საიდუმლო, რითაც გარემოცულნი ვართ; ცოტა რამ ვიცით სამყაროს შესახებ, მაგრამ ჩვენი ცოდნა, მართლაც რომ ძალიან მწირია.

პირველ რიგში, ჩვენ თავად ვართ ამოუცნობები, ყველაზე დიდი საიდუმლოება ჩვენშია; გვაინტერესებს – ვინ ვართ და რანი ვართ?! ჩვენთვის არავის უკუთხავს დაბადება და არც არავინ გვკითხავს როდის გავალთ ამ ცხოვრებიდან. თუმცა ჩვენი სიცოცხლე ხანმოკლეა, ამ წუთისოფელშიც გვეძლევა ბევრი შესაძლებლობა, მივიღ-



სერბი მოდგაწე, არქიმანდრიტი თადეოზ ვიტოვნელი (1914-2003)

ტოდეთ აბსოლიტური სიკეთისაკენ, შემოქმედისაკენ და სრულვყოთ საკუთარი თავი. როცა ასე მოვიქცევით, ჩვენი აზროვნების პორიზონტი მხოლოდ მაშინ გაფართოვდება და ზოგიერთ კითხვასაც პასუხი გაეცემა: – თუ რატომ არსებობს სამყარო, რატომ არის ასე მოწყობილი და სხვა. უნდა გავაცნობიეროთ, რომ დღევანდელი მსოფლიოს მდგომარეობა ჩვენი ბრალია; უნდა გავიაზროთ, რომ მუდმივად ვანადგურებთ სიმშვიდეს, სიყვარულს და სიხარულს. და მაინც: როცა ვუკავშირდებით ცხოვრების წყაროს, ყოვლივეს მიზეზს, ყველაფერი ცხადი ხდება. ქრისტიანები მოწოდებულნი ვართ, განვავრცოთ და ა ე ბ რ ი ვ ი სიმშვიდე და ზეციური ნეტარება. ძალიან ცოტა თუ იაზრებს, რა არის მოვალეობა, რას ნიშნავს მოვალეობა, ვიყოთ წყარო სიკეთისა, სიმშვიდისა და სიხარულისა ამ ცხოვრებაში.

„ჩვენ ყველაფერი მოთმინებით უნდა ავიტანოთ და ყველას უნდა მივუტეოთ. თუ კეთილი ზრახვები და სურვილები გვექნება, სხვებიც სულიერ სიმშვიდესა და სიხარულს მოგვიტანენ ამქვეყნად და მეტიც – მარადისობაშიც. მაშინ დავინახავთ, რომ სიკვდილი არ არსებობს, რომ უფალმა სიკვდილითა სიკვდილი დათრგუნა და მარადიული სიცოცხლე მოგვანიჭა ადამიანებს“.

6. ჩვენს გულში სულიწმიდის ბეჭედია, რომელიც გამოიდებს ნაყოფს ჩვენი ცხოვრებისას. ქრისტესადმი სინანულით დაღვრილი ცრემლები მოკრძალებას, სიმშვიდეს, სახიერებას, მოწყალებას, სარწმუნოებას და ზომიერებას შობს. ჩვენი ცრემლების შედეგად შევძლებთ მტრის სიყვარულს და მისთვის აღვავლენთ ლოცვას. ცრემლები გვაძლევენ ძალას, ვიყოთ მხიარულნი დიდი ტანჯვისა და მწუხარების უამს; შევხედოთ სხვის ცოდვებს, როგორც საკუთარს და შევინანოთ მათ წილ. ცრემლებით შვძლებთ დავიმდაბლოთ თავი და მოყვასისთვის უარი ვთქვათ საკუთარ ცხოვრებაზე.

7. წმიდა მამებმა გვასწავლეს, როგორ დავიცვათ მარხვა. მას, ვინც ფიზიკურად სუსტია და ავადმყოფი, შეუძლია მარხვის გარეშე მიიღოს ქრისტეს სისხლი და ხორცი – წმიდა ევქარისტია; მაგრამ ვინც ფიზიკურად ჯანმრთელები ვართ, ზიარებისთვის მარხვით უნდა მოვემზადოთ. მარხვა ნიშნავს, ვჭამოთ ზომიერად და საკვების გარკვეული სახეობა, რაც აწესრიგებს ჩვენს სხეულსა და ზრახვებს. როცა სხეული დამდაბლებულია, მაშინ ფიქრები უფრო მშ-

ვიდობიანი ხდება ეს არის მიზანი მარხვისა. უფალი ყველა არსებაში საიდუმლოდ მყოფის, განსაკუთრებით კი გულში, რომელიც არის ცენტრი სიცოცხლისა. ნაყროვანი ადამიანი კი ბევრი საზრუნავით შფოთავს და შეუძლებელია მისი უფალთან ერთობა. საჭიროა, ყველა ჩვენი ფიქრი, ყველა ჩვენი ემოცია და სურვილი ვმართოთ, ვაკონტროლოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში დავგარგავთ სიმშვიდეს და ვნებები შეგვიპყობს.

8. უფალმა ადამიანი თავისუფალი ნებით დააჯილდოვა. ღმერთმა ყოველივე უწყის, რადგანაც ის დროის მიღმიერია. უფლისთვის მარადისობა არის აწმყო

– ეს ჩვენი გონებისთვის მიუწდომელია. ყოველი ადამიანი, ამ სამყაროში დაბადებული იყო.

ბული, განუმეორებელია, უნიკალურია და ყველა მათგანს ეძლევა დვთის შემეცნების შესაძლებლობა. ღვთივბოძებულ, თავისუფალ ნებას ხშირად ბოროტად ვიყენებთ. მაგალითად, არიან ადამიანები, რომლებიც ზომიერად იკვებებიან, სხვები კი ნაყროვანებაში ვარდებიან. ის, ვინც იცავს ზომიერებას, ჩვეულებრივ უფრო ჯანმრთელია და უფრო დიდხანსაც ცოცხლობს; ზოგი მათგანი კი უკმაყოფილოა, ამ სოფლისგან მეტის მიღების სურვილით ცხოვრების მორევში გადაეშვებიან, განსაცდელების ქარტებილს გამოივლიან, რომ უკან სწორ გზაზე დაბრუნდნენ.

9. უფალმა ყოველივე უწყის; ის დედის წიაღშივე, ჩასახვამდე გვიცნობდა. ამიტომაც სინას მთაზე მოსეს დახმარებით დაგვიდო კანონი მორჩილებისა; კანონი მოგვეცა ჩვენ, ვინც გამოსწორებას ვსაჭიროებთ და არა მშვიდ და თავმდაბალ ადამიანებს. მორჩილების კანონი საჭიროა ჩვენი თავისუფალი ნების სწორად გამოყენებისათვის, თავმდაბლობის, სამართლიანობისა და სიყვარულისათვის. აუცილებელია მორჩილება, რათა მივაღწიოთ ჰარმონიასა და სინერგიას. ანგელოზები სრულიად ემორჩილებიან ღვთაებრივ განგებას; ამდენად, მათი სიყვარული და ჰარმონია სრულყოფილია; ჩვენც

გვმართებს მშობლებთან ურთიერთობისას, მაქსიმალურად მივბაძოთ მორჩილების ანგელოზებრივ მაგალითს. წმიდა მამები ამბობენ, რომ მორჩილება უფრო დიდია, ვიდრე მარხვა ან ლოცვა. ამის გაგება საკმაოდ რთულია, ახალგაზრდობაში არც მე მესმოდა ეს კარგად; თუ მორჩილება არ გაქვს, მარხვა ამარა. ვიცით, რომ ყველა კეთილი ნიჭი სულიწმიდიდან მომდინარეობს. წმიდა მამები გახდნენ დირსნი, მიეღოთ სულიწმიდის ნიჭები ლოცვით, მარხვითა და უფრო მეტად – მორჩილებით.

10. ღვთის ნების წინაშე ქედი უნდა მოვიდრიკოთ და არ დავიჟინოთ საკუთარი სურვილების ასრულება. ღვთის ნებისადმი მორჩილება ვლინდება უფროსების, მშობლების, მასწავლებლების, წინამძღვართა და ხელმძღვანელთა მორჩილებაში... მხოლოდ მორჩილმა ადამიანმა იცის, რა მოეთხოვება.

11. ამსოფლიური ცხოვრება ისეთია, ადგილად შესაძლებელია, აღმოვჩნდეთ მატერიალური ნივთების ტყვეობაში, ანგელოზები კი არასდროს. მიწიერი ცხოვრება მოგვეცა სარბიელად, რათა მოვიპოვოთ მარადიული ცხოვრება, ვისწავლოთ როგორ უნდა გავხდეთ თავისუფლები და ვიაროთ დაუბრკოლებლად სუფთა სინდისით და წმიდა ზრახვებით. როცა ჭეშმარიტად თავისუფლები ვართ, მაშინ არ არსებობს არც სულიერი ბრძოლა და არც ომი; გამარჯვება ჩვენს მხარეზეა იმიტომ, რომ ღვთის გულისათვის უარვყავით საკუთარი თავი, იმიტომ, რომ ჩვენს გულებში ვადიდებთ ცისა და ქვეყნის შემოქმედს; უფალოან ერთობაში ფიქრს აღარ ვუთმობთ ამ წუთისოფელს. უფალი ერთადერთია, ვინც განსაზღვრავს ჩვენს ცხოვრებას; ვიდებთ ყველაფერს, რაც მოგვეცა, როგორც ღვთის ხელიდან გამომავალს.

12. ის, ვინც თუნდ ერთი საონების შესაძენად საკუთარ თავს მსხვერპლად არ გაიდებს, შესაწირი ცხვარივით არ დადგვის სისხლს, ვერ მიაღწევს ნეტარებას. ღმერთმა თავისი ღვთაებრივი განგებით ასე დაადგინა: მხოლოდ ნებაყოფილობითი სიკვდილით მოვიპოვებთ მარადიულ სიცოცხლეს, თუ არ იტვირთავ სიკვდილს შენივე ნებით, წარწემდები. ის, ვინც არ მოიკვეთს საკუთარ ნებას, ვერ დაიმკვიდრებს ცათა სასუფეველს.

ხოლო თუ იტვირთავ შენში ქრისტეს, უფრთხილდი, უფლის წმიდა ნების შეუფერებელი და უდირსი რამ არ გააკეთო. სხ-

ვაგვარად, უფალი განგეშორება და დაკარგავ განძს, რომელიც შენშია. პატივი ეცი მას, რისი ნიჭი და უნარიც მოგვეცა, ღვთის სადიდებლად იქმოდე, არაფერი მიიღო ღვთის ნების საწინააღმდეგო, რათა უფალი არ განარისხო და განგერიდოს; არასოდეს მიმართო ღმერთს თხოვნით ან ლოცვით, ღვთივსათნო ფიქრების სრული კონცენტრაციის გარეშე; არასოდეს იფიქრო: „მოდი, ვაჩვენებ უფალს სითბოს და გულმოდგინე სიყვარულს, რათა იცოდეს, როგორ ძლიერ მიყვარს და თაყვანს ვცემ მას“, რადგან არაფერია დაფარული მისგან და უწყის შენი ფიქრები, ვიდრე ისინი შენს გონიერაში წარმოიშვებოდნენ...

არასოდეს უთხრა შენს თავს: თუ ცრემლებით არ ვილოცე, უფლის მადლი განმეშორება როგორც ზარმაცხა და უქნარა ადამიანსო. თუ უფალი ინებებს, გოდებით მიაღწიო სულიერ სრულყოფილებას, შორის დაგავირდება; მოგმადლებს ცრემლებს, რათა გული წმიდა დაბადოს შენში. სინანულისა და განწმენდის შემდეგ მწუხარების წილ უფალი მოგეახლება, განგისვენებს და აგავსებს სიხარულითა და სიმშვიდით.

იდექით მტკიცედ არა ფიზიკურად, არამედ სულიერად. მოიპოვე მდუმარება, მოუკლებელი ლოცვა და შენს სულს განუმზადე სამკვიდრებელი წმიდათა წიაღში. უბრძანე ყველა შენს მსახურს: გრძნობებს, ემოციებს – „მეუფე მოდის, სდექით კართან შიშითა და ძრწოლით“. იფხიზლე, რადგან „ქურდები“ აკაკუნებენ გულის კარზე, არ ისმინო ცრუ მწყემსის ხმა, არ მისცე ნება, შემოვიდნენ შენში, როგორც სულიწმიდის ჭურჭელში. იფრთხილე, რათა არ მოტყუვდე, თორემ განგეშორება სულიწმიდა და დაეცემი.

იყავი მხიარული, სავსე ნეტარებით, ყურადიდე უფლის სიტყვა და თაყვანი ეცი სულითა და ჭეშმარიტებით; უფალს არ სჭირდება ადამიანის ხელით მსახურება, არც ძღვენი და ზვარაკი, როგორც მიწიერ მეფეებს სჩვევიათ, რადგანაც ღმერთი აბსოლუტური სრულყოფილებაა და თვითკმარია.

13. ჩვენი ცხოვრება ჩვენით არ მოგვეცა; ის ღვთით ნაბოძები საჩუქარია... როგორც ინდივიდს, რა თქმა უნდა, გვაქვს თავისუფალი არჩევანის ნება. რომ არა თავისუფალი ნება, ცხოველების მსგავსად ვიქნებოდით და არ მოგვეკითხებოდა პასუხი ჩვენს ქმედებებზე. თავისუფალი ნებით აღჭურვილებმა უნდა ვიაროთ ღვთით დადგენილი გზით;

„რაციონალური“ გონებით უნდა განვასხვავოთ კეთილი ბოროტისაგან, ჭეშმარიტება – სიცრუისაგან. ჩვენშია დევოის სამსჯავრო – ჩვენი მამხილებელი სინდისი. მსოფლიოს ყველა მოსამართლე შეიძლება მოისყიდო, მაგრამ დევოის სამართალს – ჩვენს სინდისი, ვერასოდეს მოქროამავ; სინდისის მხოლოდ განახლება, სინანულის გზით განწმენდაა შესაძლებელი.

14. როცა ბავშვები პატარები არიან, ისინი მშობლებისთვის უფალს ევედრებიან და იღებენ მადლს და წყალობას. მოგვიანებით, თუ უფალი ინებებს, უკვე მოზრდილები იგრძნობენ სიხარულს და ნეტარებას და შეიცნობენ ცათა სასუფეველს, სადაც ანგელოზები და წმინდანები მკვიდრობენ. უფალი უშვებს, რომ მათ პირველ სულიერ შემეცნებას ბრძოლის, იმულების გარეშე მიაღწიონ, ხოლო მოგვიანებით გამოიცდებიან და გამოიწრობიან. ნეტარების მდგომარეობაში სულს არაფერი სჭირდება ამსოფლური. სულიწმიდის მოქმედებით ადამიანი აღწევს სიმშვიდეს და უკუაგდებს მრისხანებას, ასეთი პიროვნებისგან მოელიან, რომ მან ცნობიერად განაგდოს ბოროტი, დაამარცხოს თავისი სულის ყველა მტერი და სძლიოს ვნებებს. ჩვენი მტრები არ არიან სისხლხორციელნი, ასე რომ იყოს, მათგან დამალვას და გაქცევას შევძლებდით. ჩვენი მტრები სულიერნი არიან, ისინი ყველან იმყოფებიან და გვინერგავენ ფიქრებს, რომელთა საფუძველიც არ არის სიყვარული, სიწმინდე და სიკეთე. ბნელი ძალები, დემონები, რომელთაც ისეთივე განსხვავებული ხასიათები აქვთ, როგორც ადამიანებს, განუწყვეტლივ ხლართავენ არაწმინდა ფიქრების ბადეს; გვაქეზებენ, რომ ბუნებრივად მივიღოთ ხორციელი ვნებები, ქურდობა, ბოროტება და შური. თუ უურს გუგდებთ, მივიღებთ მათ შემოთავაზებას და განვახორციელებთ, მაშინ ვნებები ჩვენს მეორე ბუნებად იქცევა. წმიდა პავლე მოციქული ამბობს: „რამეთუ არა რომელი-იგი მნებავს კეთილი, მას ვჰყოფ, არამედ რომელი-იგი არა მნებავს ბოროტი, მას ვიქმ, ხოლო უკუეთუ რომელი-იგი მე არა მნებავს და მას ვჰყოფ, არღარა მე ვიქმ მას, არამედ რომელი-იგი დამკვიდრებულ არს ჩემ თანა ცოდვაო“ (რომ. 7: 19-20). ეს ის ბოროტი ძალებია, ფესვს რომ იდგამენ ადამიანთა გულებში, სახლდებიან მათ სულებში და იპყრობენ სხეულებს. ცხოვრებისეული გამოცდილუ-

ბაა საჭირო, რომ განაგდო ბოროტი და მიიქცე სიკეთისაკენ; დედამიწის ზურგზე არავინ და არაფერმა არ უნდა გაცდუნოს და არ უნდა გადაგახვევინოს სამეუფო გზიდან. ამიტომაც ამბობს VII საუკუნის წმიდა მამა ისააკ ასური: „შეინარჩუნე შინაგანი სიმშვიდე ნებისმიერ ფასად და ნურაფერზე გაცვლი ამ სამყაროში“.

15. დევოის ნების მისაღებად აუცილებელია მოვემზადოთ. უფალი უშვებს, ბევრი რამ ჩვენი სურვილების საწინააღმდეგოდ მოხდეს; თუ ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩვენ გვინდა, ვერ მოვემზადებით სასუფევლისათვის და ურჩ და თავნება ადამიანს არც ზეცა და არც მიწა არ მიიღებს. უფალს დევოებრივი განგებით განუსაზღვრავს ყველა ჩვენთაგანის ხვედრი და უნდა დავემორჩილოთ მას – ჩვენთვის ბოძებული ცხოვრება კითხვის გარეშე უნდა მივიღოთ – „რატომ მე?“ უნდა ვიცოდეთ, რომ არც დედამიწაზე და არც ზეცაში არაფერი ხდება დევოის ნებისა და მისი დაშვების გარეშე. განსაცდელმა და გაჭირვებამ არ უნდა მიიპყროს მთელი ჩვენი ყურადღება, არამედ საჭიროა, რომ ყურადღება გავამახვილოთ შინაგან სამყაროზე და დავიცვათ სიმშვიდე. ლოცვით ვედრების დროსაც კი ვესწრაფვით საკუთარი სურვილების ასრულებას, ნაცვლად დევოის ნებისადმი მორჩილებისა. ყველა სირთულე და მწუხარება, რასაც უფალი გვიგზავნის, საჭიროა ჩვენთვის, მაგრამ ამას ვერ ვხვდებით, სანამ ახალგაზრდები ვართ. მოვხუცდებით და ვიაზრებთ, რომ განსაცდელი იყო გზა ჩვენდამი დევოის სიყვარულის გამოვლინებისა.

16. ჩემი ცხოვრების მანძილზე ბევრჯერ მქონია მწუხარება, ტკივილი, დაცემა, მაგრამ შეუძლებელია სხვაგვარად ყოფილიყო. წმიდა მამები ამბობენ: როგორ უნდა შევიგრძნოთ დევოის სიყვარული, თუ კი უფალი არ გამოგვარებს ტანჯვა-წვალებას და არ გამოვიწრობით განსაცდელში.

დრო მოვიდა ისეთი, ადამიანებს იპყრობს დეპრესია სევდა და ნაღველი, რაც სიამაყის ერთგვარი გამოვლინებაა. თუ პიროვნებას უკუარს ამსოფლიური ნივთები, ეს სოფელი მიიყვანს უიმედობამდე, გულგატებილობამდე, რადგან უფალს ვერ იპოვის მასში. დროდადრო თითოეული ადამიანი სიმარტვეს და სიცარიელეს განიცდის მაშინაც კი, როცა ხალხშია, სანამ არ გათავისუფლდება ამსოფლიური საზრუნავისგან; ამ დროს მის

სანუგეშოდ უფალი მოდის.

ამაო ზრუნვით ღვთაებრივ მადლსმოკლუბული სული მარტობას გრძნობს. არავის შეუძლია ერთდროულად ორ გზაზე სიარული. სული ვერ აღივსება მადლით, სანამ არ დამდაბლდება; თუ ამაყ მდგომარეობაში მიიღებს მადლს, ეს უქმედულად დიდ ბოროტებას გამოიწვევს, როგორც დაცემული ანგალოზის შემთხვევაში მოხდა.

17. ჩვენი მიწიერი ცხოვრება ეპიტიმიას ჰგავს. ნუ გიკვირს, ცუდი ამბები რომ ხდება გამუდმებით.

18. უოველთვის მსურს დავუბრუნდე იმ მადლის მდგომარეობას, რომელიც მორჩილებაში მქონდა, მაგრამ არ შემიძლია. ჩემი ძალისხმევა გულწრფელია; ვცდილობ, მაგრამ ხან პრობლემა იჩენს თავს, ხან ფიქრი შემომიტევს და ბოლოს, საზრუნავი მიღობავს გზას. უფალი ხედავს ჩვენს მცდელობებს, არ უგულებელყოფს და ერთხელაც მოგვანიჭებს ძალას, რათა გავთავისუფლდეთ საზრუნავისგან. უფალს უნდა მივანდოთ ყოველივე ზრუნვა, ჩვენი და ჩვენი საყვარელი ადამიანების ცხოვრება და ყველაფერი კარგად იქნება.

19. ხალხისთვის აუცილებელია განათლება; ადამიანმა, რაც შეუძლია, უნდა ისწავლოს. სამწუხაროდ, სკოლა მხოლოდ ცოდნას აძლევს და არ ასწავლის სულიერებას. თეოლოგების უმეტესობა, სემინარიისა და საღვთისმეტყველო სკოლების პედაგოგები არ ცხოვრობენ იმის შესაბამისად, რასაც ასწავლიან, ჩვენი ახალგაზრდებისთვის არ არიან სამაგალითონი და ამიტომაც სკოლებში არასახარბიერო მდგომარეობაა. სკოლა პიროვნებას აძლევს რაციონალურ განათლებას, მაგრამ არა სულიერებას. ახალგაზრდას სჭირდება ცოცხალი მაგალითი, ვისგანაც ისწავლის; პირადი მაგალითები უკეთესად ასწავლის, ვიდრე სიტყვები. ცხოვრებაზე და სულიერებაზე ჭკუის სასწავლი ბევრი რამ შეიძლება მოისმინოს, მაგრამ საეჭვოა, რომ შეძლოს მათი გამოყენებას ცხოვრებაში. როცა ახალგაზრდა ხედავს წყნარ, მშვიდ და კეთილ პიროვნებას, მაშინ უნდება სურვილი, მას მიემსგავსოს... ცოცხალი მაგალითი უფრო მეტის მოქმედია, ვიდრე სიტყვები. ღვთისათნო ცხოვრების წესი ამყარებს თეორიულ ცოდნას და ამტკიცებს პრაქტიკაში. ასეა არა მხოლოდ თეოლოგიასთან მიმართებაში, არამედ ყველა ტიპის ცოდნასთან დაკავ-

შირებით. ნებისმიერი ცოდნა წილნაყარია ჭეშმარიტებასთან – აღმოაჩინე და მიიღე, როგორც ღვთისგან ბოძებული საჩუქარი: ჭეშმარიტი ცოდნა სამყაროში ღვთის არსებობას დაღადებს. ცოდნის პრაქტიკული გამოყენება კი დამოკიდებულია იმაზე, ვცხოვრობთ თუ არა ღვთისათნოდ. ჩვენი ცოდნა კაცობრიობას ან სარგებელს მოუტანს, ან ზიანს მიაყენებს. თუმცა, ყველა ცოდნა, რაც უფალმა მიპატადლა ადამიანს, ჩვენს საკეთილდღეოდა და არაფერი მოგვეცა დასაღუპავად, გასანადგურებლად. დღეს ამ სამყაროში ასე ძლიერ რომ ვიტანჯებით, ჩვენი არჩევანის შედეგია; ჩვენი თავისუფალი ხებაა შერყვნილი, დამახინჯებული; კაცობრიობამ დაკარგა შიში ღვთისა და რა ცოდნაც მიეცა სიკეთისთვის, გადააჭირა ბოროტებად.

20. ისმის კითხვა: რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანისთვის სულიერ ცხოვრებაში?

პასუხი: ჩვენს გულებში სიმშვიდის დაცვა. არ უნდა დავუშვათ, რომ დავკარგოთ იგი. მშვიდობა უნდა მეფობდეს ჩვენს გულებში – მშვიდობა და მდუმარება.

ქაოტური ფიქრები დაცემული სულის მდგომარეობაა. ჩვენი გონება უნდა დარჩეს კონცენტრირებული, ფხიზელი და მთლიანი. უფალი მკვიდრობს იქ, სადაც გონება მთლიანია...

ჩვენს გულებში, სიმშვიდის დაცვის გარდა, საჭიროა ვისწავლოთ ღვთის წინაშე დგომა – ეს ნიშნავს, განუწყვეტლივ ვაცნობიერებდეთ, რომ ვდგავართ ღვთის პირისპირ და უფალი გვიყურებს. უნდა ვისწავლოთ, თუ როგორ გავიდგიოთ და დავიძინოთ უფალთან ერთად, როგორ ვიტრაპეზოთ, ვიმუშაოთ და ვიაროთ მასთან ერთად. უფალი სუფევს ყველგან და ყველაფერში! ჩვენში შეგვიძლია აღმოვაჩინოთ ცათა სასუფეველი. „ჩაიხედე შენს გულში და იქ იპოვი კიბეს ზეცად აღმყვანებელს“ – ამბობს წმიდა ისააკ ასური.

წმიდა წერილი გვასწავლის, რომ ცათა სასუფეველი არის „ სიმართლე და მშვიდობა და სიხარულ სულითა წმიდითა“ (რომ. 14:17). უფალს მიენდო ბოლომდე, პირველი საფეხურია დმერთან ერთობისა. ამის შემდეგ კი ღვთაებრივი ენერგია იწყებს ჩვენში მოქმედებას. უფალთან ზიარება ნიშნავს, საკუთარი თავი მიუძღვნა მას და შენში სულიწმიდის მადლი იმოქმედებს. სული მიენ-

დობა დმერთს, რომელიც წარმართავს ჩვენს გრძნობებს, ნება-სურვილს, გონებას. მაშინ დვთის ხელში ვხდებით იარაღი და უფალი ამოძრავებს ჩვენს ფიქრებს, სიტყვებს და ხელსაქმეს.

21. უფალთან ურთიერთობა, თანაზიარება, სულის ბუნებრივი მდგომარეობაა. ამისთვის შეიქმნა ადამიანი, მაგრამ თავად განეშორა სამოთხისეულ ცხოვრებას ცოდვით დაცემის შემდეგ და ახლა ისწრაფვის, კვლავ ადადგინოს კავშირი შემოქმედთან. ყველაფერს ვაკეთებთ, რათა დავიბრუნოთ პირველადებით, უვნებელი მდგომარეობა. როცა დვთის სასუფეველი დაივანებს ადამიანის გულში, უფალი მას გაუმჯდავნებს ბევრ საიდუმლოს; განანათლებს მის გონებას და ადამიანი შეძლებს ჩასწვდეს ნივთიერი და სულიერი სამყაროს არსს, გაიგოს მისი იდუმალება.

ყველა ცოდნა უფალშია და, როცა უფალი ინებებს, მისი წყალობით ცოდნა ადამიანის გონებაში გაცხადება. თვით უბრალო, გაუნათლებელ ბერს სულიწმიდის მადლით, უდიდესი საიდუმლოებების ცოდნის ნიჭი შეიძლება მიეცეს, სიცოცხლის და სიკვდილის, სამოთხისა და ჯოჯოხეთის და მან შეიძლება შეისწავლოს სამყაროს არსებების შინაგანი წესრიგი.

როცა ადამიანის გულში ცათა სასუფეველი შევა, დმერთი თითქოს უცოდინრობის საბურველს ახდის მის გონებას და მაშინ, ადამიანი წვდება არა მხოლოდ ქმნილი მატერიის, არამედ საკუთარი არსების საიდუმლოს. ბოლოს, ერთ წმიდა მომენტში უფალი თავისი უსაზღვრო წყალობით გამოეცხადება ასეთ ადამიანს და ის დაინახავს მეუფის დიდებულებას ზუსტად ისე, როგორც ხედავს მზის ანარეკლს წყალზე; ამ დროს, სულიწმიდა მოქმედებს მასზე და დმერთი და კაცი ერთ არს. ასეთი პიროვნება მხოლოდ ხორციელად მყოფობს ამ სოფელში, ხოლო მისი სული მოქალაქეა ზეციური იერუსალიმისა და ანგელოზებთან და წმინდანებთან ერთად ჭვრეტს უფალს.

22. უფალმა უკეთ უწყის, რისი ატანა შეგვიძლია და რისი არა, რას დაუშვებს ჩვენზე და რისი დათმენის შესაძლებლობას მოგვცემს; თუ გვაქვს ძალა ცდუნებასთან დაპირისპირებისა, უფალი დაუშვებს, ცდუნებამ მოგვიცვას, რათა შევებრძოლოთ და ვსძლიოთ მას სიმშვიდითა და თავმდაბლობით. მოგვიანებით, როცა იგივე ცდუნე-

ბა მოგვიახლოვდება, უვნებლად ჩაგვივლის, ფიქრებით განვაგდებოთ და ტალახში დავფლავთ.

დღესდღეისობით საზოგადოებრივ ცხოვრებაში რთული მოვლენები მიმდინარეობს, რაშიც მონაწილეობას ვიღებთ, ნაცვლად სიმშვიდის დაცვისა; ისეთ პროცესებში ვერევით, რისგანაც სინამდვილეში შორს უნდა ვიდგეთ. გარკვეული უარყოფითი მოვლენები განვითარდება იქ, სადაც უფალი დაუშვებს. თუ ჩვენ უკვე სიმშვიდე მოვიპოვეთ, ისინი გვერდით ჩაგვივლიან და ვერ შეგვეხებიან, მაგრამ თუ მონაწილეობას მივიღებთ, გავიტანჯებით.

23. უფალი ზოგჯერ დაუშვებს, რათა შევცუროთ „დრმა წყალში“; მაგრამ როცა დავინახავთ, რომ ცურვის ძალა აღარ გვაქვს, უნდა შევდაღადოთ: „უფალო, მისენ მე!“ ამ დროს აუცილებელია, ხელები ვამოძრაოთ და თავი წყლის ზედაპრზე გვეკაოს. გადამწყვეტ მომენტში უფალი გვისნის, როგორც წმიდა მოციქული პეტრე იხსნა დანოქმისაგან.

24. ჩვენ ზეციური მამის შვილები ვართ და დახმარება და მფარველობა უფალს უნდა შევთხოვთ. და რადგან ამქვეყნად ხორციელი მშობლებისაგან გაფჩნდით, მათგან ვითხოვთ მზრუნველობას. არ დაგვავოწყდეს, რომ ხორციელ მშობლებსაც აქვთ სისუსტები, სირთულეები, წესილი და პირადი საზრუნავი, ისინიც გარემოცულნი არიან სხვადასხვა პრობლემით და გასაჭირით. ამდენად, ისინი ვერ გვიწინამდლვრებენ და დაგვეხმარებიან ისე, როგორც ზეციურ მამას შევძლია. უფალი ყოველთვის ზრუნავს ჩვენზე და, თუ ჩვენი გული დაკავშირებულია შემოქმედთან, ის გვიცავს, გვიფარავს და განაუგეშებს იმ ნუგეშით, რომლის მსგავსსაც ვერ ვიპოვით ადამიანთა შორის.


25. ბოროტი სული გვაკვირდება, რომ დაინახოს, ვაქცევთ თუ არა ყურადღებას სიზმრებს. მათ იციან, თუ როგორ გავლენას ახდენს სიზმარი ადამიანზე და ეს გავლენა როგორ გამოიყენონ. თუ დაინახავენ, რომ გვჯერა სიზმრების და ვცხოვრობთ იმ წარმოდგენით, რაც გვესიზმრა, მაშინ ყველაფერს ისე მოაწყობენ, რომ სიზმარი ახდენს; ასე თანდათანობით რეალობასთან კავშირს დაგვარგავთ და სრულფასოვანი ცხოვრების უუნარონი გავხდებით.

ინგილისურიდან თარგმნა
მონოზონმა ნონამ (ჯავაშვილი)

ჩვენ ვიმუოფებით წმიდა ადგილზე, სადაც მოღვაწეობდნენ ჩვენი დიდი დედები, და მე ბავშვობიდან ვიზრდებოდი, შეიძლება ითქვას, აქ, ამ წმიდა მონსატერში და აქაური მადლი და ძალა შევისისხლხორცე.

19.08.14

უწმიდესი და უნეტარესი ილია II



ფერისცვალების დღესასწაულზე წირვას აღავლენს უწმიდესი და უნეტარესი ილია II




უწმიდესი და უნეტარესი ილია II დირსი მამა გაბრიელის ლუსკუმასთან




უწმიდესი და უნეტარესი ილია II მიცვალებული ძმის, ბერი გორგის, სულის საოხად, იხდის პანაშვილს.




ასი ათასი მოწამის დღე.
მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ქეთევანი, დანი და დედანი.



უწმიდესმა და უნეტარებნა ილია II-მ 19
აგვისტოს, ფერისცვალების დღესასწაულზე,
დეკანოზის წოდება მიანიჭა მონასტრის ტაძრის
მოძღვარს, მამა მირიანს (ალიბეგაშვილი) და
მონასტრის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის,
დააჯილდოვა ოქროს ჯვრით.



წმიდა მეფე მირიანის და ნანა დედოფლის
საფლავთან პარაკლისის ლოცვას აღავლენენ
მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ქეთევანი და
მოძღვარი არქიმანდრიტი ლაზარე.



გუმბათის გაწმენდა-რესტავრაცია სამთვავროს
ფერსიცვალების ტაძარში



„მირიანის კოშკის“ რესტავრაცია



სასაფლაოს გაწმენდა-გამშვენება.



საერთო მორჩილება



მონასტრის სულიერი მოძღვარი, მამა ლაზარე
და მონოზენები თაფლის ამოღებაზე



დედები მონასტრის მეურნეობის ტერიტორიაზე



Տօնիչութեան պատճեան մասէջրութա տաճամուսացրեա
დա անգորութա յաճացընութա Քարմարուցըն, յարո-
շալութա գանմանատլուցըն և Տառութա Քմուցու-
թա յեարութա, դեւաթ նոնու, յազարութա լուժ-
ալուցըն Տառութա հզենութաւութա.